ნოემბერი
1932 წ.
№ 83

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
NOVEMBRE
1932—№ 83

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—ოქტომბრის მე-15 წლისთავი.
Louis Le Fur—საქარ. და საერთაშორ. უფლება.
ბიბლიოგრაფია.
მ. მუსხელიშვილი—უფლება გამოყ. და უარყ...
ბ. გელა-გელაბანია—კულტურული და პოლიტ.
ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის.
მ.—ანი—6 ნოემბერი.
პრესსა.
საქართველოს ამბები.
N.—ქართველები საფრანგეთში.
ქართველები გერმანიაშია.
აზერბეიჯანელთა შორის.
უკრაინელთა შორის.
წერილები რედაქციის მიმართ.

ოქტომბრის მე-15 წლისთავი

ბოლშევიკებმა დიდის ზეიმით გადაიხადეს თავიანთ ბატონობის 15 წელი. სანახაობა ბევრი აჩვენეს: აღლუმი, თეატრი, სინემა, აფიშა, მაშხალა... სიტყვებიც ულევი, რა თქმა უნდა, და ამაში ხომ მათ ტოლი არა ჰყავთ. მაგრამ ერთში მაინც ჩამორჩენ ძველ რომს, სადაც მონებს, გარდა სანახაობისა, პურსაც ურიგებდენ. და მართლაც, მიუხედავათ გეპეუს სასტიკ ცენზურისა, საზღვარ გარეთ მაინც მოაღწია ცნობამ დამშეულ მუშების, განსაკუთრებით მათი ცოლების «ბუნტებისა», სწორეთ «ბრწყინვალე» ოქტომბრის დღეებში.

ან რა ზეიმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მილიონები სიმშილის წინა სდგანან, როცა უკრაინაში, მაგ., კაცჭამიაობამ იჩინა თავი, იპარავენ ბავშვებს... დასაკლავათ? განა შეიძლება სხვა რამეზე წერა ან ლაპარაკი, როცა სიკვდილის აჩრდილი უდგას წინ უთვალავ არსებათ, არ იციან, როგორ გასტანონ ეს ზამთარი, როგორ მიაღწიონ გაზაფხულს, რას უქადის ზაფხული? მერმე, განა ამ ზაფხულში არ გაისმა საზარელი ხმა საკუთარ ხორბლის მუჭ მუჭა ქურდობისა, ამისათვის სიკვდილით დასჯისა? რომელ ქვეყანაში ან როდის წასულან ასე შორს?

ამ დროს კი ზეიმი! ბოლშევიკები «ასი პროცენტით» უსწრებენ ყველა ქვეყნის და ყველა დროის ფარისეველთ და მლიქვნელთ, მათ კიდევ ყოფნით გამბედაობა «მიღწევებზე» ილაპარაკონ, ხალხის ამაზე უტიფარი, სისხლიანი დაცინვა შეუძლებელია.

როგორია 15 წლის მათი ბატონობის ჯამი? სასოფლო მეურნეობის სრულიად განადგურება და ას მილიონ გლეხის მშრალზე დატოვება; სამრეწველო «გიგანტების» თანდათან ძირს დაშვება საკმაო ნედლი მასალის და გაწრთვნილ მუშა-ხელის ნაკლებობის გამო; შრომის ნაყოფიერების უმაგალითო დაცემა მშრომელის გაძვალტყავების გამო; სახალხო მოსახმარ საგნების სიძვირე, ხშირათ უქონლობა; ფულის ღირებულების განიავება და ხელ-ფასის სამათხოვრო დონეზე დასვლა.

რა შერჩა ხალხს თებერვლის რევოლიუციიდან? არაფერი, მაგრამ მას უარესიც დამართეს: აღადგინეს ბატონ-ყმობა, გლეხი მიაკრეს მიწას, მუშა—დაზგას, არც თავისუფლება, არც უბრალო განძრევა, და ზედ უთვალთვალებს ბატონი ბოლშევიკი გეპეუდან. ხმელეთის მეექვსედი ერთ ვეება საპატიმროდ აქციეს, სადაც უბრალო სიტყვის შებრუნებაც სასტიკათ ისჯება, ოჯახის წევრებს ეშინიათ ერთმანეთთან ლაპარაკის, კუდები, დაუსრულებელი კუდები, ქუჩებში ხალხი დაღვრემილი, ჩამომტირალი... და ერთიც გაუგონარი ბრძანება: ხალხი გააცინეთ, სახუმრო სანახაობა გაამრავლეთო.

აქედან «აღფრთოვანება, სიხარული» მე-15 წლისთავის გამო! მოსკოვსა და ლენინგრადშიო—გადმოგვცემს «ტასს»—ზღვა ხალხი მოაწყდა, დროშები, დაუსრულებელი პლაკატები, ინტერნაციონალი მთელი კავშირის სივრცეზე მოსკოვის საათის ნიშანზეო,

წითელ ჯარებს, ტანკებს, ზარბაზნებს მოედნები ვერ იტევსო, მსოფლიო რევოლიუციის სარდალს სტალინს გაუმარჯოსო.

როგორც ხედავთ, მოსკოვი თვალში ნაცარს გვაყრის, შეხეთ რა ბედნიერი ვარო. მაგრამ ცოტა ამაზე ადრე არ გაიგეს იქ, საზღვარ გარეთ, რა მოხდა კომპარტიის უკანასკნელ პლენუმზედ? გაერთიანებული ოპოზიცია მემარჯვენე-მემარცხენეთა, რიუტინის კონტრ-რევოლუციური შეთქმულობა», 20 მამალ ბოლშევიკის პარტიიდან გაძევება, წვრილ-ფეხა ბოლშევიკების ახალი ეტაპები გაყინულ ჩრდილოეთისაკენ... ტყის საჩეხათ.

რას მოითხოვს ოპოზიცია? კოლხოზების დაშლას, «გიგანტების» კონცესიით გაცემას, ძირს გენერალური ხაზი და მისი ავტორიო! ოპოზიცია წინეთაც ყოფილა, ბევრი ჩააქრო სტალინმა, მაგრამ ასეთი, როგორიც ლენს, არც ერთი. ის მოითხოვს, არც მეტს არც ნაკლებს, «სოციალიზმის» გაუქმებას! უქმობენ კი ხუთწლედის კეთილათ დაგვირგვინებას! მართლაც კონტრ-რევოლუცია, თუ ოქტომბერს რევოლუციას უწოდებთ, რაიცა სულაც არაა სწორი, უნდა იკითხოთ წინაუკმო.

ჩვენა ვსთქვით, მემარცხენენი და მემარჯვენენი გაერთიანდენთქო, მაგრამ თვით ბელადნი არა სჩანან: ტროცკი და რიკოვი, სჩანან რიუტინები, კომსომოლიდან გამოსულნი. მაშასადამე, «კონტრ-რევოლუციური» სული ახალგაზდობაში შეჭრილა. ამას თან ერთვის წითელი ჯარის საეჭვო გაზმორება, სტალინის ჯიელნი ზომებს იღებენ. უმთავრესი ორია: 1) ჯარის გაწმენდვა და შემოდგომის დაბეგვრის დროს არაპროლეტარულ და საეჭვო ელემენტების მასში არ შეშვება; 2) ორი წილი ჯამაგირი ოფიცრებს და სალდათებს. მუშებსაც წაუმატეს 30 პროცენტი, მაგრამ რას შველის ეს, როცა ფული ჩენჩად იქცა?

ევროპა-ამერიკაში არ გაისმის ეხლა დამპინგის ხმა, მოსკოვს ვერაფერი გააქვს, ან ძალიან ცოტა. ხორბალი არაა, ერბო-ტყავეულობას გზაში იტაცებენ, თვით ნაფთის ექსპორტიც შემცირდა, რკინისგზები დაავადებულია, და... ხე-ტყე? ოტავის კონფერენცია ბოლოს უღებს მის გატანას ლონდონის ბაზარზედ, ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებას აუქმებს მაკდონალდის მთავრობა.

აქედან ვალიუტის სიმშილი, ართმევენ წვრილ-წვრილათ ვისაც უცხოეთიდან მოსდის ნათესავებისაგან, აპატიმრებენ კიდეც, რომ გამოიწერონ რაც შეიძლება მეტი და, სანამ არ მოუვათ, არ ანთავისუფლებენ. თვით დიპლომატიურ კორპუსს მოსკოვში მხოლოდ ვალიუტაზე აძლევე სანოვაგეს. გაგონილა? მოსკოვი ყველას აიძულებდა მანეთზე ვაჭრობას «მაგარი კურსით», რაიცა მოასწავებდა ცხრა მეათედი ღირებულების მითვისებას ვალიუტაზე. დღეს კი, ის თვითონ უცხადებს უნდობლობას თავის ფულს, გინდა-არგინდა ვალიუტა ჩამოყაჭეო, თუ დამალე, ნაგანის ტყვია უკნიდან... საკუთარ მოქალაქეთ, ცხადია.

მაშასადამე, საქმე თითქო მიწურულზეა, ბოლშევიზმი მზათაა დაეშვას თავდაყირა, საჭიროა ერთი მედგარი შერხევა ქვევიდან. მაგრამ მოვესწრებით ამას?—აი კითხვა.

რუსის გლეხობა თავისებურათ ებრძვის ხელისუფლებას, ის არ ხნავს და არ იწევს იმდენს, რამდენიც საჭიროა, ან სხვა სიტყვით, საბოტაჟს მიმართავს. ბრძოლის ეს მეთოდი განსაკუთრებით გაძლიერდა წელს, გაისათ კი, როგორც სტატისტიკები ირწმუნებიან, კიდევ უფრო მკაცრ სახეს მიიღებს. სრულიად დაუჯერებელი ამბავი: გლეხობა თვითონ უმზადებს თავის თავს და მთელს სახელმწიფოს სიმშილს და სიკვდილს!

საბოტაჟის სენი სოფლიდან ქალაქზეც გადადის, ამითაც აიხსნება ის არაჩვეულებრივი «პროროვები» მრეწველობის ყველა დარგებში, რომლის შესახებ ასე ხშირათ სჩივიან დღევანდელი ბატონები, ვერც ერთი დარგი ვერ ასრულებს გეგმით დაკვეთილს, პროდუქცია ეცემა დღითი დღე.

ასეთ პირობებში განა გასაკვირია ახალი ოპოზიცია და მისი რადიკალური მოთხოვნები? კომპარტიის ხელმძღვანელნი დიდ საგონებელში ჩავარდენო—იწერება ერთი საიმედო კორესპონდენტი მოსკოვიდან—არ იციან საითკენ გაექანონ, როგორ დააღწიონ თავი კატასტროფასო; ერთი მათგანი იმასაც არ მალავს, რომ, სანამ სტალინი სათავეშია, საქმეს არა ეშველება რა, მაგრამ ვინ გადააგდებს, მშიერ-ტიტველ ხალხს ეს როგორ შეუძლია, ისევ პარტიის ხალხმა უნდა გაანგრიოს მოჯადოებული წრეო.

დიაგნოზი სწორია, სხვა გამოსავალი თითქო არ არსებობს. სტალინმა ამოწურა თავისი «ზიგ-ზაგები», მისი დეკრეტები ოდნავაც ვერ ანელებს საშინელ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს. ის, რა თქმა უნდა, მზათაა კიდევ მრავალი მილიონი ხალხი შესწიროს თავის ბატონობის ყინს; მის დათმობებს იაპონიის მიმართ, მეორეს მხრით ბოლო არ უჩანს, ოღონდ მასთან შეტაკება თავიდან აიცილოს.

ევროპა-ამერიკის კაპიტალიზმაც ამოწურა თავისი დახმარება «სოციალიზმის ასაყვავებლათ». რაც უნდა არ შეტკივოდეს გული, მას არ შეუძლია მეტი მისცეს, ვინემ თვითონ ღებულობს, ვაჭრობა ნაღდზეა თუ კრედიტზე, სულ ერთია, თუ ვერ გაგაქვს,

ვერ შეიტან, მოსკოვის წისქვილს წყალი უშრება.

ამ რიგათ, ოქტომბრის მე-15 წლისთავზე ბოლშევიკებმა დაასრულეს, შეიძლება ითქვას, ქვეყნის დანგრევის და განადგურების საქმე. ჯერ არავინ გამოჩნდა, რომ ხელიდან გამოსტაცოს ამ ჯალათებს ხოცვა-ყლეტის იარაღი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ გამოჩნდება.

გლეხობის საბოტაჟი კარგს არ უქადის ჯალათებს, შეიძლება ყველაფერში სჯობნიდენ გლეხებს, მაგრამ არა გამძლეობაში. შეიარაღებული ძალა ვერ აიტანს დიდ ხანს მისიანების ასეთ სასოწარკვეთილ ბრძოლას სოფლად, ის გატყდება, გვერდში ამოუდგება მათ, ამისათვის თვით ხელმძღვანელ წრეებში გაუჩნდება მას ბელადი.

ახალ ოპოზიციის უშუალო გამომწვევი კი მუშების უკმაყოფილებაა. მიუხედავათ აუარებელ დაბრკოლებათა, მუშები გარეგნულათაც აჩენენ მას. გაფიცვები, შეტაკებანი ძალიან ხშირია ამ უკანასკნელათ, გაიხსენეთ ივანოვო-ვოზნესენსკი ამას წინათ, ზლატოუსკი სულ ეხლა. მუშები არ ერიდებიან ხელჩართულ ბრძოლასაც. როცა ზევით დაბნეულობაა, ქვევით ასეთი გამოძახილია ჩვეულებრივ.

არაფერი გვითქვამს საქართველოზე, სხვა ჩაგრულ ერებზე, მაგრამ მათ წილს და როლს განმათავისუფლებელ ბრძოლაში არა ერთხელ შევხებივართ აქ, ახალს ვერაფერს დავსძენთ. მათ იციან, არ შეიძლება არ იცოდენ, რომ სანატრელი წუთი ბოროკილების დამსხვრევისა მოახლოებულია.

საქართველო და საერთაშორისო უფლება

III.

საერთაშორისო თვალსაზრისით რუსეთის მიერ მოხდენილ ანექსიას ის ფაქტიური შედეგი ჰქონდა, რომ საქართველომ დაჰკარგა საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსება. სახელმწიფოთა წარმოშობა და გაქრობა პოზიტივური საერთაშორისო უფლების შეხედულობით არიან მარტო ფაქტები, რომელთაც იგი აღნუსხავს მხოლოდ. მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომ მიუხედავად ფაქტიური მდგომარეობისა მან შეინახა თავისი იურიდული სახე დამოუკიდებლობისა: სახელმწიფო შეიძლება აღარ არსებობდეს როგორც ასეთი, მაგრამ მას შეუძლია აღსდგეს და მაშინ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ საშუალება აქვს დაამტკიცოს თავის უფლების გაგრძელება *). მაშინ დაისმება საკითხი არა ახალი სახელმწიფოს შექმნისა, არამედ წინად არსებული სახელმწიფოს აღდგენისა, რასაც იელინეკი სრული სიზუსტით უწოდებს «საერთაშორისო იურიდულ პიროვნების აღდგენას» (Das Wiederaufleben einer völkerrechlichen Persönlichkeit).

სწორედ ეს მოხდა საქართველოსთვის. 1917 წ. ნოემბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთში, უკანასკნელის ხელისუფლება საქართველოში მოისპო. საქართველო, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფონი, ჩამოშორდა დიდს იმპერიას, რომელიც ირღვევოდა. 1918 წ. მაისის 26 საქართველოს საერო ყრილობის არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, და ეს ამბავი ჯეროვანის წესით ეუწყა ყველა უცხოელ სახელმწიფოს.

არის აქ ჩვენს წინაშე ახალი სახელმწიფოს წარმოშობა, თუ უკეთ ხელახალი გამოცხადება სახელმწიფოსი, რომელიც 1801 წლამდის არსებობდა? იმის შემდეგ, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ, პასუხი საეჭვო აღარაა: ჩვენ საქმე გვაქვს უკვე წინად არსებულ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენასთან. მისი არსებობის განგრძობა ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფოს იმ ორი არსებითი ელემენტის მუდმივობით, რომელთაც წარმოადგენენ ტერიტორია და მოსახლეობა. სრულიად სუვერენულ სახელმწიფოს შესადგენად საქართველოს აკლდა მესამე მთავარი ელემენტი სახელმწიფოსი—სუვერენული მართველობა. რუსული ხელისუფლების დამხობამ და საქართველოს მთავრობის მოწყობამ შეავსეს ეს ნაკლი და ამ რიგად საქართველოს აღდგენა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, გახდა შესრულებული ფაქტი *).

დამოუკიდებლობის გამოცხადება დაადასტურა დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 12 მარტს. ამ კრების არჩეულს კომისიას დაევალა ახალი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. 1921 წ. თებერვლის 22-ს დამფ. კრებამ მიიღო საბოლოო ტექსტი კონსტიტუციისა, რომელიც ამყარებდა პარლამენტარულ დემოკრატულ რესპუბლიკას. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ და პროპორციულ კენჭის ყრით არჩეულ პარლამენტს (მ. 4); აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა «რესპუბლიკის მთავრობას» (მ. 66), რომლის თავმჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი (მ. 67), ხოლო დანარჩენ წევრებს იწ-

*) Rivier, გვ. 95 და სხ.

*) «შესაძლებელია აგრეთვე, რომ მომკვდარი სახელმწიფო ისევ გაცოცხლდეს, თუ შეკავშირების ელემენტები კვლავ შეიქმნებიან» (იელინეკი, ნაწ. 1. სახელმწიფოს საზოგადო თეორია, გვ. 440). აღდგენა პოლონეთის, ირლანდიის, ჩეხოსლოვაკიის და სხვ., რომლებიც საუკუნეზე მეტი იყვნენ უცხოელთა ოკუპაციის ქვეშ, ამ აზრს ადასტურებენ.

ვევდა თვით თავმჯდომარე (მ. 68); მთავრობა სოლიდარულად პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე (მ. 73). კონსტიტუციას გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე დამოუკიდებელი სამოსამართლო ხელისუფლება (მ.მ. 76-83). ბოლოს მეთოთხმეტე თავი ეხებოდა უმცირესობათა უფლებებს; იგი ანიჭებდა უმცირესობათ უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია 1919 წ. ხელშეკრულობით უმცირესობათათვის ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებში.

საქართველოს სახელმწიფოს არსებობა შინაგანი საზოგადოებრივი უფლების თვალსაზრისით სრულებით უდავოა. რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებრივ უფლებას, 1918 წ. შემდეგ მოხდა მთელი რიგი აქტებისა, რომელთაც საბოლოოდ განამტკიცეს საქართველოს სტატუტი. ყოვლის უწინარეს საჭიროა გარკვევა მდგომარეობისა რუსეთის მიმართ. უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა საქართველო რუსეთს ჩამოშორდა, მან ისარგებლა მხოლოდ საბჭოთა კონსტიტუცია, რომელმაც ყოფილ რუსეთის იმპერიის ყველა ერს მისცა სრული თვითგამორკვევის და გამოყოფის უფლება.

მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორის 1920 წ. მაისის 7 დადებული ხელშეკრულობა. ხელშეკრულობის პირველი მუხლის ძალით რუსეთმა «აღიარა ყოველივე პირობის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა და უარი სთქვა სრულის ნებით ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს მიმართ». ხელშეკრულობის მეორე მუხლიც არაა ნაკლებად დაბეჯითებული: «რუსეთი—ვკითხულობთ იქ—ემყარება ამა ხელშეკრულობის წინა მუხლში გამოცხადებულ პრინციპებს და ვალდებულობას ღებულობს, არ ჩაერიოს არავითარ საშუალებით საქართველოს შინაურ საქმეებში».

ცხადზე უცხადესია. რუსეთმა გადაჭრით იცნო საქართველო როგორც სავსებით სუვერენული სახელმწიფო და იკისრა ვალდებულება პატივი სცეს მის დამოუკიდებლობას. ჩვენ მალე ვნახავთ, თუ რამდენად შეასრულა მან ნაკისრი ვალდებულება. მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის შეხედულობით, საქართველოს იურიდული მდგომარეობა იყო შეუვალი.

ამ ცნობის წინ და შემდეგაც საქართველო იცვნეს სხვა სახელმწიფოებმა, კერძოდ მოკავშირე სახელმწიფოებმა. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო de facto 1920 წ. იანვრის 11-ს ვერსალის კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ, ე. ი. საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, ბელგიამ და იაპონიამ. იმავე საბჭომ 1921 წ. იანვრის 27-ს აღიარა ეს დამოუკიდებლობა de jure *). საქართველოს დამოუკიდებლობა იცვნეს აგრეთვე სხვა სახელმწიფოებმაც, სახელდობრ პოლონეთმა, რუმინეთმა, ლუქსენბურგმა, გერმანიამ, ავსტრიამ, არგენტინამ, მექსიკამ, პანამამ, ჰაიტიმ, ოსმალეთმა, სიამმა და ლიბერიამ.

ნაციათა ლიგის კრების პირველ სესიაში 1920 წ. განხილულ იქნა საკითხი საქართველოს მიღების შესახებ. საქართველოს დელეგაციამ სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წ. 26 მაისს წარადგინა საქართველოს მთავრობის სახელით მოთხოვნა, რათა დაშვებული ყოფილიყო წევრად თანახმად ნაციათა ლიგის პაქტის პირობებისა. ამ საგნის განხილვის დროს როგორც მეხუთე კომისიაში ისე ლიგის საერთო კრებაზე არც ერთს წევრს არ გამოუცხადებია პრინციპიალური წინააღმდეგობა საქართველოს დაშვებისა. კრებამ მაინც, თანახმად კომისიის წინადადებისა, გადაწყვიტა საქმის გადადება *). გადადების მოსაზრება ის იყო, რომ საქართველო, როგორც მეზობელი საბჭოთა რუსეთისა, რომელიც ნაციათა ლიგის გავლენის გარეშე იმყოფებოდა, საფრთხეში იყო ჩავარდნილი რუსეთის აგრესიობით. პაქტის მეათე მუხლის ძალით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა წევრის ტერიტორიის მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ნაციათა ლიგა ვალდებული იქნებოდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის განსაცდელის დროს. ხოლო ლიგას არ მოეპოვებოდა საშუალება ნამდვილი დახმარების გასაწევად და ეს შეუძლებლობა ზიანს მიაყენებდა მის (ლიგის) ავტორიტეტს.

რაც უნდა იყოს წონა ამ მოსაზრებისა რომელიც შეიძლებოდა წამოეყენებიათ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ და არა საქართველოსი, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოთხოვნა არ ყოფილა უკუგდებული საბოლოოთ, არამედ იყო მხოლოთ გადადებული. კრების მომავალ გადაწყვეტილების მოლოდინში, საქართველოს მინიჭებული ჰქონდა უფლება, თუ ამის სურვილს გამოაცხადებდა, მიეღო მონაწილეობა, როგორც ნაციათა ლიგის წევრებს, ყენევის დაწესებულების ტექნიკურ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით შრომის საერთაშორისო კონფერენციაში (J. O. de la S. D. N. Actes 1920. გვ. 634).

საქართველოს იურიდული მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით მისი სრული დამოუკიდებლობის წლებში იყო ისევე ნათელი, როგორც შინაგან საზოგადოებრივ უფლების თვალსაზრისით, ცნობამ მრავალ უცხოელ სახელმწიფოს მიერ საქართველოს ნაციათა ოჯახში დაბრუნების საშუალება მისცა; იგი კვლავ გახდა საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება.

მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელე-

*) თუ რა განსხვავებაა de facto და de jure-ს ცნობას შორის, ამის შესახებ ნ. ჩემი Precis de Droit internat. № 597.

*) 1920 წ. 16 დეკ. გადაწყვეტილება. 23 სახელმწიფოში, რომელთაც ხმა მისცეს, 10 დაშვების მომხრე იყო, 13 წინააღმდეგი; 19 სახელმწიფომ თავი შეიკავა ან არ დასწრებია. Journal officiel de la S. D. N. Actes de la 1-re assemblée, 1920, გვ. 633. მხარის დამჭერი მეტი იყო პროპორციულად ვიდრე ბალტიის სახელმწიფოებისთვის, რომელთა მიღების თხოვნა აგრეთვე გადადებულ იქნა, მაგრამ რომელნიც დღეს ლიგის წევრები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულა. რუსეთი წინაამდეგ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულობისა, რომლის თანახმად აღიარა საქართველოს სუვერენობა და უარი განაცხადა ჩარევაზე მის შინაურ საქმეებში, ხელახლა თავს დაესხა საქართველოს. 1921 წ. 11 თებერვალს რუსის ჯარები შეესივნენ საქართველოს და ცხარე წინაამდეგობის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ხუთ კვირას, დაიკავეს მისი ტერიტორია 1921 წ. მარტის 20 *). ეს ოკუპაცია აქამდის გრძელდება. ამგვარად რუსეთმა ორჯელ დაარღვია წესიერად დადებული ხელშეკრულობა, დაიპყრო და დაიკავა საქართველო. და თუ ძველს იმპერიას შეეძლო 1801 წ. გაემართლებია ანექსია საქართველოს სისუსტით და მისი დაცვის საჭიროებით, საბჭოთა რუსეთს ეს არ შეეძლო, ვინაიდგან ახლა საქართველოს არც ერთს მეზობლისაგან არ მოელოდა საშიშროება, თუ არა თვით რუსეთისაგან.

Louis Le Fur

საერთაშორისო უფლების პროფესორი
პარიზის უნივერსიტეტში.

---

*) ცთილობდენ დაერწმუნებიათ საზოგადოება (L'Humanité 1921 წ. 1 და 3 მარტის), რომ ვითომც ადგილი არ ჰქონდა საქართველოს სამხედრო ოკუპაციას რუსეთის მიერ. საქმე სხვანაირად იყოო: ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა თვით შიგნით საქართველოში და რუსეთს არავითარი აგრესიულობა არ გამოუჩენიაო. მაგრამ თვით საბჭოთა წყაროებიდან წარმომდგარი საბუთები აბათილებენ ასეთს მტკიცებას. არსებობს საბჭოთა მეორე არმიის სარდლის ჰეკერის ანგარიში, 1920 წ. 18 დეკემბრის რიცხვით, რომელიც ააშკარავებს, რომ საქართველოში შესევა იყო წინასწარ გამზადებული. ამ მოხსენების დასკვნაში ვკითხულობთ: «ზემო დასახელებული მოსაზრებანი სრულებით იმისთვის არ მოვიტანეთ, რათა დავამტკიცოთ შეუძლებლობა შეტევისა საქართველოზე. არამედ იმის ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს შეტევა უნდა მოხდეს ბეჯითი მომზადების შემდეგ და დასრულდეს რაც შეიძლება მოკლე დროში» (მთავარი ადგილები ამ მოხსენებისა მოხსენებული აქვს დეპუტატს რენოდელს სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა საფრანგეთის პალატაში 1925 წ. 29 იანვარს). გვაქვს მეორე დოკუმენტი არა ნაკლებ მნიშვნელობისა. ტროცკიმ დასწერა 1922 წ. თავის წიგნში (იმპერიალიზმსა და რევოლუციას შუა): «ჩვენ არ გვაქვს არავითარი სურვილი დავფაროთ ან შევასუსტოთ საბჭოთა ჯარის მნიშვნელობა კავკასიის დაკავებაში». ამავე წიგნის მეორე ალაგას (გვ. 142) დასძენს: «საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, რათა წითელი ჯარები შესულიყვნენ ამ მხარეში». ასეთი განცხადებების შემდეგ შეუძლებელია რაიმე ეჭვი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა საქართველოს გასაბჭოება: მოხდა შემოსევა და არა რევოლუცია.

ბიბლიოგრაფია

B E A U T Y
a legend of Georgia
done into English for the first time
by
Belle Colby Carrington
Stendhal et Co.
Paris

გასულ თვეს პარიზში გამოვიდა ერთი ქართულ ზღაპრის ინგლისური თარგმანი, გამოცემა ფრიად მდიდრული, ხეზედ გამოჭრილ ნახატებით შემკული. ზღაპარს ჰქვია «სილამაზე», ქართულათ მას უწოდებენ «როსტომელას», რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი ქალების მიერ გამოცემულ ქართულ ზღაპართა კრებულში, დიდი ომის წინ.

მთარგმნელი ქალბატონი ბელ კოლბი კარინგტონი, ამერიკიდან, თვითონ ამბობს თავის მშვენიერ წინასიტყვაობაში, რომ გადათარგმნა ფრანგულიდან ჩვენში კარგათ ცნობილ განსვენებულ ბატონ დე ბაის წიგნიდან და აქ კი ზღაპარს «სილამაზე» ჰქვია.

ჩვენ მეტათ ვსთვლით მოვიტანოთ აქვე ზღაპრის შინაარსი, ისედაც ემახსოვრება ყველას, განსაკუთრებით მისი ბრძნული დედა-აზრი: უკვდავების განსახიერება სილამაზეში და სილამაზის—უკვდავებაში, ძალა მიწისა ე. ი. ხორციელ არსებობისა და სიკვდილი, როგორც მისი გარდაუვალი ბოლო.

უკეთეს ნიმუშს ქართულ სულის უცხოელთათვის გადასაშლელათ მართლაც ვერას იპოვიდა ქ-ბ კარინგტონი ამ ტყვეობის დროს! ერთი წაკითხვის თანავე დააფასა მან ზღაპარი, არ შემიძლია ჩემს თანამემამულეთ არ გავაცნო ეს ობოლი მარგალიტიო—სთქვა მან—და მაშინვე შეუდგა თარგმნას და გამოცემას.

წინასიტყვაობის უკანასკნელ სტრიქონებიდან გამოსჭვივის, როგორია მთარგმნელის განწყობილება ჩვენი ერისადმი, აი ესეც: «მე ვიმედოვნებ, მკითხველნი ისევე იგრძნობენ ამ ზღაპრის ეშხს, როგორც მე ვიგრძენი, აგრეთვე გამოიჩენენ იმავე ინტერესს სასახელო ისტორიის მქონე იმ უბედურ ქვეყნისადმი (ზევით ეძახის ოქროს ვერძის ქვეყანას), რომელიც აკვანია ჩვენი რასის, ქრისტიანობის ზღუდე საუკუნეთა განმავლობაში გარშემორტყმულ ურწმუნოთა ურდოების წინაამდეგ, ერთად ერთი ქვეყანა, რომლის ჯვაროსანთ ნება ჰქონდათ გაშლილი დროშებით შესულიყვენ იერუსალიმში—საქართველო».

ქ-ბ კარინგტონმა «როსტომელას» თითო ცალი გაუგზავნა სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებს, დედოფლებს, პრემიერებს, საგარეო მინისტრებს, სხვა წარჩინებულ პირთ და, რამდენათ ვიცით, მოსდის მხურვალე მადლობის წერილები მათგან.

ჩვენც სხვა არაფერი დაგვრჩენია, გულწრფელათ შევუერთდეთ იმ გრძნობიერ მადლობას, ქართველ ერის სახელით, რომელიც მას მისწერა ჩვენმა თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ. დადგება დრო, როცა ჩვენს ერს თვით მიეცემა შემთხვევა მიიღოს თავის ბაღნარში ეს ახალი მეგობარი, უდიდეს დემოკრატიის ასული ბელ კოლბი კარინგტონი.

უფლება გამოყოფისა და უარყოფის კავკასიის კონფედერაციაში

ჩვენ დაგვრჩა კიდევ ორი უფლება შემადგენელ სახელმწიფოთა, რათა გავათავოთ განხილვა სახელოთა (კომპეტენციების) განაწილების საკითხისა კავკასიის კონფედერაციაში. ესაა გამოყოფის და უარყოფის უფლებანი, რომლებიც ყველაზე უმთავრესი არიან კონფედერაციის წევრებისათვის. ეს საკითხი ფრიად რთულია, რადგან საზოგადოთ საკონფედერაციო ხელშეკრულობანი მას არ იხსენიებენ, არ აღნიშნავენ მით უფრო, თუ რა პირობებში შეიძლება ამ უფლებების სარგებლობა ან რა იურიდული შედეგები მოყვება მათ განხორციელებას. ჩვენ მაინც ვალდებული ვართ შევეხოთ ფედერაციების მთავარ პრინციპებს, რათა გავაადვილოთ ამ დიდი მნიშვნელობის საგნების პოზიტივური გადაჭრა. ჯერ ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს უფლება გამოყოფის და უფლება უარყოფისა? მერე უნდა განვიხილოთ მათი იურიდული ბუნება და ის, თუ რატომ აქვთ მინიჭებული იგი კონფედერაციის წევრ-სახელმწიფოებს? ამის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, შეუძლიათ თუ არა კავკასიის კონფედერაციის შემადგენელ სახელმწიფოებს მიმართონ ამ უფლებათ საჭირო დროს, წინაამდეგ ცენტრალურ მართველობისა.

I.

რა არის ბოლოს და ბოლოს უფლება გამოყოფისა და უფლება უარყოფისა? რისგან შესდგება?

უფლება გამოყოფისა არის ის, რომ სახელმწიფოთა კონფედერაციის ყოველს წევრს ეკუთვნის უფლება გამოვიდეს კავშირიდან, როცა კონფედერალურ ვალდებულებათა შესრულება ემუქრება წევრ-სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს.

ცხადია ესეთი განსაზღვრა სიძნელეს იწვევს. საქმე უნდა ეხებოდეს სასიცოცხლო ინტერესებს, მაგრამ რა არის სასიცოცხლო ინტერესი? შეუძლებელია სისწორით ამის გარკვევა. გვაგონდება რეზერვები, რომელიც შექონდათ, ომამდის, სუვერენულ სახელმწიფოებს საარბიტრო ხელშეკრულობაში. გამორიცხული იყო საარბიტრო რეგლამენტიდან ეროვნული ღირსება და სასიცოცხლო ინტერესები. ასეთი საარბიტრო ხელშეკრულობა სრულებით არ ზღუდავდა სახელმწიფოთა მოქმედების თავისუფლებას, რადგან მუხლის გაურკვეველობა ნებას აძლევდა არა სინდისიერ სახელმწიფოს (სინდისიერი ხომ ბევრი არაა), თავი დაეხწია არბიტრაჟისთვის, როდესაც კონფლიქტი მოუხდებოდათ მეორე სახელმწიფოსთან. ეს სახელმწიფონი ორნაირ სარგებლობას ჰპოულობდენ: მრავალი საარბიტრო ხელშეკრულობის დადებით თავის მშვიდობის მოყვარეობას უჩვენებდენ ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს და ამავე დროს სავსებით იცავდენ თავის სუვერენობას. ამგვარი ინტერნაციონალური ფარისევლობა ახასიათებდა სახელმწიფოების პოლიტიკას ომამდე. საბედნიეროთ შემდეგ მდგომარეობა გამოიცვალა. სხვადასხვა შეთანხმებებით, რომელთა შორის უფრო მნიშვნელოვანია ჟენევის 1928 წ. საზოგადო აქტი, ზოგადი ხასიათის და გაურკვეველი რეზერვები აკრძალულია (საზოგ. აქტის მ. 39).

მაგრამ სიძნელე მარტო აქ არაა. საკითხავია ისიც: ვინ იქნება მსაჯული იმისა, რომ კონფედერალურ ვალდებულებათა შესრულება ეწინაამდეგება წევრ-სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს? ისინი, რომლებიც წევრ სახელმწიფოს გამოყოფის უფლებას იცავენ, ამბობენ, რომ ეს მსაჯული თვით დაინტერესებული მხარე უნდა იყოსო. გამოდის, რომ სახელმწიფო, რომელიც ცთილობს გაექცეს თავის ვალდებულებათ, თვითონ უნდა იქნეს თავის საქმის მსაჯული. ასეთ შემთხვევაში კარი გაეღებოდა ყოველ თვითნებობას და მავნებელ გადაწყვეტილებებს.

უფლება უარყოფისა არის უფლება კონფედერაციის წევრისა, უარყოს ცენტრალურ მართველობის გადაწყვეტილება, როცა ეს ეწინაამდეგება წევრის არსებითს უფლებებს ან გადაემეტება ცენტრალურ ხელისუფლების კომპეტენციას.

ეს უფლება კიდევ უფრო მეტს სიძნელეს იწვევს. ყოვლის უწინარეს რაა სუვერენულ სახელმწიფოების არსებითი უფლებანი? ამ ცნებას შეიძლება ძალიან ფართო განმარტება მისცეს ყველამ, ვისაც ეს დასჭირდება. სახელმწიფოთა არსებითი უფლებათა საკითხი ფრიად ცნობილია საერთაშორისო საჯარო უფლებაში. ამ უფლებათა შორის გულისხმობენ არსებობის და კანონიერი განვითარების უფლებას, თანასწორობის უფლებას, ვაჭრობის უფლებას და სხ. ცხადია, თუ სახელმწიფო კეთილსინდისიერად არ მოიქცა, შეუძლია ბევრი რამ ამოაფარროს არსებითს უფლებას, რათა გააბათილოს ცენტრალურ მართველობის გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ცენტრალურ მართველობის მიერ საკონსტიტუციო კომპეტენციის გადამეტებას, რასაც შეიძლება ხშირად ექნეს ადგილი, ამის გარკვევა რომ იმათვე მივანდოთ, რომელთა სუვერენობას ცენტრატურ ხელისუფლების გადაწყვეტილება ვითომც ზღუდავს, მაშინ ჩვენ ისეთს სასიკვდილო ჭრილობას მივაყენებთ საკონფედერაციო კავშირს, რომ ძნელად თუ გამომთელდებოდა.

II.

ამ ორი უფლების განსაზღვრის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რამდენად სახიფათოა მათი სარგებლობა კონფედერაციის არსებობისათვის. კერძოობის მომხრე სახელმწიფოს ყოველ წუთს შეუძლია მიმართოს ამ იარაღთ, რათა უკუაქციოს ცენტრალურ მართველობის ყოველი ინიციატივა და შებორკოს მისი მოქმედება. ილუზიასაც ნუ ვიქონიებთ: სახელმწიფონი მიმართავენ ამ საშუალებას ყოველთვის, როგორც კი მოითხოვს ამას მათი ინტერესი, ვინაიდგან როდესაც კოლექტივს ანიჭებენ არა გარკვეულ კომპეტენციას, იგი ინსტინქტურად ცთილობს ფარგლის გაფართოვებას. ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველს კოლექტივს მართავენ ადამიანები, რომელნიც სრულიად უნაკლონი არ არიან.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა წევრს—სახელმწიფოებს ეკუთვნით ეს ორი უფლება, რომელთაც შეუძლიათ კონფედერალური კავშირის დაშლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დარღვევა? ეს ხომ გამომდინარეობს პირდაპირ მათი სუვერენობის თვისებისაგან. სუვერენობა კი ისეა გაგებული—ეს უკვე განვიხილეთ—რომ მათ ნება აქვთ თვით განსაზღვრონ თავისუფლად საკუთარი კომპეტენცია, მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილებანი სახელმწიფოებრივი მოქმედების ყოველ დარგში. სუვერენობა უმაღლესი ხელისუფლებაა, უკონტროლო და შეუზღუდველი. ამ შემთხვევაში ბუნებრივია გამოყოფის და უარყოფის (ნულიფიკაციის) უფლებანი მივაკუთვნოთ აღნიშნულ სუვერენობით მოსილ სახელმწიფოებს. ისინი იქნებოდენ თავის კომპეტენციის ბატონები, შეუძლიათ მათი შეზღუდვა, თუ მოისურვებდენ; და—აქედანვე გამომდინარეობს ლოღიკურად—თვით ისინი გაარკვევდენ, იქნებოდა თუ არა პატივდებული შეზღუდვა ცენტრალურ ხელისუფლების მიერ, რომელიც ბოლოსდაბოლოს ხომ მათი შექმნილია.

და ვერავითარი ხელმოწერილი ვალდებულება ვერ აიძულებდა მათ განუსაზღვრელად. ეს მართალია, რადგან გამოყოფის უფლება არის გამოყენება დებულებისა rebus sie standibus, რომლის სრული ფორმულა ამბობს: omnis conventio interpretatur rebus sie standibus, ე. ი. ხელშეკრულობა ფასობს იმდენად, რამდენად გარემოება შეუცვლელია. თუ დადებული ხელშეკრულობა ახალ ვითარებათა გამო განსაცდელში აგდებს სახელმწიფოს არსებობას და დამოუკიდებლობას, მას აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ განსაზღვრულ პირობებში მხოლოდ.

III.

ჩვენ ვხედავთ, რომ ძირი ამ ორი არსებითი უფლებისა უნდა ვეძიოთ სუვერენობის იდეაში. ხოლო ამ იდეამ ომის შემდეგ ღრმა ცვლილება განიცადა. მე არ დავუბრუნდები ამ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც წინა წერილში უკვე განვიხილე (იხ. «დამ. საქ.» № 76). გავიხსენებ მხოლოთ რომ წინათ თუ აბსოლუტური და საზღვარდაუდებელი ცნება იყო სუვერენობა, დღეს იგი უკვე განსაზღვრულია და შედარებითი და ნიშნავს მარტოოდენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საერთაშორისო უფლების ფარგლებში. სახელმწიფო ყოველთვის თავის გადაწყვეტილებათა უფალია, მაგრამ სფერო, სადაც მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს, ამიერიდან შემოფარგლულია საერთაშორისო უფლებით.

სუვერენობის ცნების ამგვარი გარდაქმნა გვავალებს გადავსინჯოთ ის ლოღიკური შედეგები, რომლებიც მოსდევენ გამოყოფის უფლებას და უარყოფის (ნულიფიკაციის) უფლებას. ეს შრომა, რამდენადაც ვიცი, ჯერ არავის შეუსრულებია. მაგრამ საკმარისი არაა ორ დასახელებულ უფლების გადასინჯვა და მათი შეთანხმება თანამედროვე საერთაშორისო უფლებასთან. ჩვენ არ შევეხებით აქ საზოგადო საერთაშორისო უფლებას. ჩვენი მიზანია—კავკასიის კონფედერაციის პაქტის გარჩევა. გვინდა შევუთანხმოთ ხსენებული ორი უფლების სარგებლობა პაქტის კონკრეტულ დებულებათ.

დავიწყოთ გამოყოფის უფლებიდან. უკვე გვქონდა შემთხვევა აგვენიშნა, რომ ამ უფლების სარგებლობა არის ცნობილი rebus sie standibus-ის გამოყენება. ამ მუხლის არსებობას არ უარყოფს თანამედროვე საერთაშორისო უფლება. ხოლო საკმაოდ მოწესრიგებული არაა. არის ერთი პრეცენდენტი, რომელიც უნდა გავიხსენოთ: ნაციათა ლიგამ მისცა თავის წევრებს უფლება გასვლისა ორი წლის შემდეგ (პაქტი 1 მუხ.). ეს გასვლის უფლება არსებობს აგრეთვე შინაგან უფლების ასოციაციებში—მაგ. პროფესიონალურ სინდიკატებში. გასვლის უფლება ნორმალური წესია როგორც საერთაშორისო ისე საშინაო უფლების.

კავკასიის კონფედერაციის პაქტი არ შეიცავს არავითარ დებულებას, რომელიც უკრძალავდეს წევრებს თავისუფალ გასვლას კავშირიდან. აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოებმა ამ უფლების სარგებლობის უარი სთქვეს, ვინაიდგან გამოყოფის, გასვლის უფლება საერთო წესია, ხოლო არგასვლის ვალდებულება—გამონაკლისია. გასვლის უფლების უარისთქმა არ შეიძლება ვიგულისხმოთ, იგი გადაჭრით და გარკვევით უნდა იყვეს გამოთქმული პაქტში.

საზოგადო საერთაშორისო უფლება და კავკასიის პაქტიც სცნობენ, რომ შემავალ სახელმწიფოებს შეუძლიათ დასტოვონ კავშირი. მაგრამ ეს უფლება აბსოლუტურია? არ სჭირია მას არავითარი შეზღუდვა, მოწესრიგება? ესაა არსებითი საკითხი და ამის პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ კავკასიის პაქტის მთავარი პრინციპები და მიზანი, თუ რისთვის იყო იგი შემუშავებული. კავკასიის პაქტმა მიზნად დაისახა კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის განმტკიცება და საერთო კეთილდღეობის წარმატება. პაქტის არსებაა თანამშრომლობა და კოოპერაცია; ესაა ერთობის ნებისყოფა და არა განცალკევების. ხოლო თუ ჩვენ მივანიჭებთ წევრ-სახელმწიფოებს თავისუფალ გამოყოფის უფლებას, ეს წინააღუდგებოდა პაქტის მიზანს და მის არსებას. და მიზანი და არსება კი დაკონებით მოითხოვს, რომ სახიფათო უფლებას საზღვარი დაედვას. მე ვერ შევუდგები გამოყოფის უფლების მოწესრიგების დეტალების განხილვას; დავკმაყოფილდები ორი შემდეგი დებულების აღნიშვნით: 1) ყოველ წევრს-სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიმართოს გამოყოფის უფლებას, როცა კავშირის გაგრძელება მეტად ვნებს ან კიდევ უფრო, აშკარა საფრთხეში აგდებს სახელმწიფოს არსებობას და დამოუკიდებლობას და 2) ამ ფაქტის გარკვევა არავითარ გზით არ უნდა მიენდოს თვით ამ სახელმწიფოს, არამედ უნდა გადაეცეს დამოუკიდებელ ორგანოს, როგორიცაა კონფედერაციის უმაღლესი სასამართლო. ცხადია, სასამართლოს დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს დაინტერესებულ სახელმწიფოსთვის. ილუზიას ნუ ვიქონიებთ, შესაძლებელია საქმეები სულ სხვანაირად დატრიალდეს სინამდვილეში. შესაძლებელია, თუ გამოყოფის საკითხი დაისვა, იგი გადაწყდეს იარაღით და არა იურიდული საშუალებით. მაგრამ ჩემ მიერ დასახელებულ წესებს ის მნიშვნელობა აქვთ, რომ არკვევენ პასუხისმგებლობას, და ეს კი საყურადღებოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება უარყოფის (ნულიფიკაციის) უფლებას, მისი გადაჭრა კიდევ უფრო მარტივია. ისე როგორც ნაციათა ლიგის გადაწყვეტილება მისი კომპეტენციის ფარგალში გადაეცემა წევრებს შესასრულებლად და არც ერთს არ შეუძლია თავის არსებითი უფლების გამო უარყოფა, ასევე კავკასიის პაქტის მეთერთმეტე მუხლის მეოთხე პარაგრაფი ამბობს, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკონფედერაციო ხელისუფლების კომპეტენციის ფარგალში, სავალდებულო კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებისთვის. ეს გადაჭრილი და იმპერატივული დებულება ადგილს არ აძლევს რაიმე გაუგებრობას.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ გვეჩვენება რომ საკონფედერაციო ხელისუფლებამ თავის გადაწყვეტილებით გადაამეტა თავის კომპეტენციას? აქვთ თუ არა თვით შემავალ სახელმწიფოებს უფლება ამ გადამეტების გარკვევისა და მით ცენტრალურ მართველობის გადაწყვეტილების უარყოფისა? რასაკვირველია არა! რადგან ეს იქნებოდა წინაამდეგი პაქტის მე-13 მუხლის მეორე პარაგრაფისა, რომელიც განსაზღვრავს საკონფედერაციო სასამართლოს კომპეტენციას და ამბობს: «საკონფ. სასამართლო განიხილავს ყოველ დავას საკონფედერაციო ხელისუფლებასა და კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა შორის». ეს ტექსტი ზოგადად არის შედგენილი: საკონფედერაციო სასამართლო განიხილავს ყოველ დავას, მათ შორის იმასაც, რომელიც შეიძლება ჩამოვარდეს ცენტრალურ ხელისუფლებასა და წევრ-სახელმწიფოებს შორის პაქტის გაგების გამო. შემავალი სახელმწიფოები უიარაღონი არ არიან ცენტრალურ მართველობის წინაამდეგ—მათ შეუძლიათ დასვან საკითხი უკანასკნელის გადაწყვეტილებათა არაკანონიერობის, მაგრამ ამის გადაჭრა არ შეუძლიათ საკუთარის ნებით, არამედ უნდა მიმართონ საკონფედერაციო სასამართლოს, რომელიც არის არბიტრი მათსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ზემო ნათქვამის მიხედვით უარყოფის (ნულიფიკაციის) უფლება გადაჭრით უნდა აეკრძალოს კავკასიის კონფედერაციის წევრებს, ყოველ შემთხვევაში მისი უშუალო სარგებლობა. რაკი ხელს აწერენ პაქტს, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ცენტრალურ მართველობის გადაწყვეტილებას და შეუძლიათ მხოლოდ გასაჩივრება საკონფედერაციო სასამართლოს წინაშე. რაც შეეხება გამოყოფის უფლებას, ეს უფლება შემავალ სახელმწიფოებს ვერ წაერთმევათ, ხოლო მისი სარგებლობა უნდა ჩაყენებულ იქნეს *მკაცრ პირობებში*.

ესეთი შეზღუდვა წევრ-სახელმწიფოების უფლებათა არ ეწინაამდეგება მათ სუვერენობას, რომელიც არსებითად შედარებითია იმდენად, რამდენად მას განსაზღვრავს საზოგადო საერთაშორისო უფლება და მერე კავკასიის კონფედერაციის პაქტი.

მიხ. მუსხელიშვილი.

კულტურული და პოლიტიკური

გლოვით დაბურულ ცის ქვეშ—აოხრებულ მიდამოებში, სად რუსის ჩექმა თელავს და სრესს,—უცხო ნამგალი სერავს და სჭრის, უცხო ჩაქური ულმობლათ სცემს, უცხო ხიშტები სჩხვრეტს, ანადგურებს, ბორკილთ ხმაური ედინება წამებულ მხარეს—ამგვარ ბედიდან გამოსავალს დაეძებს შეწუხებული ქართული სული დაპყრობილ საქართველოში!

როდემდის გასტანს ვაების დღენი ქართველი ხალხის? როდის ჩამოჰკრავს დიადი ზარი დაბორკილ ქვეყნის აღდგენის, დამოუკიდებელი კულტურის და თავისუფალ ეროვნული განვითარების?

ყოველი ფიქრი დღევანდელ ჭეშმარიტი ქართველის, ყოველი მისი მოძრაობა და ნაბიჯი, სუნთქვა და ამოძახილი, ყოველგვარი მოვლენა დაპყრობილ ქართული ცხოვრების, ატარებს ელფერს გამუდმებული ტანჯვის და ბრძოლის. გამუდმებული ლტოლვის და ნატვრის დაჭრილი სულის გასამთელებლათ!...

ჩვენი ეროვნული კულტურა ძარღვების ოპერაციას განიცდის—მისი სამინელი დოსტაქრის—შემოჭრილ უცხო მტრისგან საქართველოში, რომ ქართული კულტურის ძარღვები—შემოტანილი უცხო ძარღვებით შესცვალონ და შიგ უცხო სისხლი ადინონ—გადაგვარების მასაზრდოვებლათ!

დაპყრობა გრძელდება და დამოუკიდებელი ქართული კულტურა ან სავსებით მახინჯდება, ანუ სავსებით ისპობა.

აღზრდა—არა ეროვნული,—არამედ უცხო, — კომუნისტური. ლაპარაკი—ქართული, ფიქრი კი უცხო—რუსული! ქართველი ბავშები და მოსწავლე ახალგაზდობა რუსულ კომუნიზმის თითიყუშები, ქართული სკოლა—მათი გალიები! ქართული წიგნი, პრესსა: მხოლოთ ქართული ანბანი,—შინარსი, აზრი, მასალა—უმთავრესათ კომუნისტური! ქართული უნივერსიტეტი, ქართული მეცნიერება—დარბეული და შეგინებული, ქართული ლიტერატურა—რუსული კომუნიზმის ნაკარნახევი! ქართული სახის და სულას დარბევა, დამახინჯება, გადაგვარება.

უცხო კულტურა და პოლიტიკა თავს ესხმის ქართულს: კულტურულს და პოლიტიკურს—და ერი ბრძოლით თავს იცავს! ეროვნული კულტურა და პოლიტიკა უპირდაპირდება უცხოს, გარეშეს! პოლიტიკა კულტურაში, კულტურა პოლიტიკაში!

ამ პირობებში დგება საკითხი: შესაძლებელია ჩვენთვის დღეს კულტრული ბრძოლა პოლიტიკის გარეშე? საქართველოს დღევანდელი ვითარება ცხადია, *ამ კითხვაზე ამგვარად უპასუხებს: არა, არ არის* შესაძლებელი!

როცა მსოფლიო ომი ქვეყანას განადგურებით ემუქრებოდა და პოლიტიკამ განსაკუთრებული ძლიერება მიიპყრო—ჩვენ ვიცით—გერმანიის მეცნიერებმა პროტესტი განუცხადეს მოწინაამდეგე მებრძოლ ქვეყნებს—ჩვენს მეცნიერებას არ გასარგებლებთო!... დიახ, სამწუხაროა ასეთი მოვლენა საერთოთ, რომ ყოვლად თავისუფალი—დამოუკიდებელი მეცნიერება პოლიტიკაში ერევა, მაგრამ, ცხადია, მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობა შეგნებას კარნახობს მაშინ, როცა ერი განსაკუთრებულ მდგომარეობას განიცდის, ან რაიმე საშიშროება მოელის,—ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, ვერ არიან მართალნი ისინი, რომელნიც დღეს, როცა ჩვენი კულტურა და მთელი ერი დაპყრობილია—მტრის წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლაშია, გვეუბნებიან: კულტურა პოლიტიკის გარეშე. კულტურა—პარტიათა გარეშე, კულტურა დამოუკიდებელი და ხელუხლებელი და სხვა...—ამგვარი მშვიდობიანი საქმიანობა—შესაძლებელია, ცხადია, ერის მშვიდობიან პოზიტიურ ხანაში, მაგრამ დღეს, ვიცით, პოლიტიკურ ბრძოლას საქართველოში უაღრესი პირველი ადგილი უჭირავს, პირველ რიგში დღეს პოლიტიკური საკითხია გადასაჭრელი, და კულტურული მუშაობაც, ცხადია, უაღრესად პოლიტიკურს უკავშირდება.

ეროვნული კულტურული განვითარება და აყვავება შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ პოლიტიკურ პირობებში. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს აღდგენა და განმტკიცება—ერთათ-ერთი საფუძველია და გარანტია ეროვნული კულტურის შესაძლებლობის.

მიუხედავათ ციხე-კედლების, რომლითაც შეზღუდულია დაპყრობილი საქართველო, მისი კულტურა, მისი რწმენა და აზრები,—ჩვენი ხალხი მაინც სცოცხლობს, მოძრაობს და ჩვენც მისი გზები და მიზნები გვიზიდავს. ყველა ჭეშმარიტი ქართველი დღეს, ცხადია, შეგნებით ატარებს გარდუვალ ფიქრს,—ფიქრს საქართველოს აღდგენის, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის, და ეს უაღრესათ მთავარია დღეს და ამას მოყვება ჩვენი კულტურული თავისუფლებაც. ჩვენ ვერ უარვყოფთ, რომ ჩვენი კულტურული მუშაობა დღეს თუ გინდ წმინდა აკადემიური, შესაძლებელია და სასურველიც, მაგრამ, როგორც ვთქვით, განსაკუთრებულ ჩვენს პირობებში, გვერდს ვერ აუვლის პოლიტიკას, პოლიტიკას ის ვერ აცდება.

ყველა კულტურული მოვლენები: სკოლა, პრესსა, ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, ისტორია—ყველა ჩვენი არსებული ორგანიზაციები არიან მიზანი და საშვალებაც ბრძოლაში—საქართველოს დამოუკიდებელ პოლიტიკურ აღდგენისათვის. წმინდა პოლიტიკურ ბრძოლას ესეც დაემატება და გაძლიერებულ ტემპით მიზნის მიღწევას დაგვიახლოვებს.

სანამ არსერობს მოძალადეთა თარეში ჩვენში, არსებობს ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლაც მათ წინააღმდეგ. ქართველ ხალხთან ერთათ დაპყრობილია ყველა პოლიტიკური ქართული პარტია და მიუხედავათ დევნა-წემების, ბრძოლას განაგრძობენ ისინი. მტრის წინაამდეგ თავისუფალი ბრძოლის ასპარეზი, რომლითაც აშკარავდება დამპყრობლების მკაცრი სახე მსოფლიოს დასანახავათ და გასაგონათ,—თავისუფალი სიტყვით, პრესით, კრებებით და მოქმედებით—არის ქართველი ემიგრაცია უცხოეთში და ამ მხრივ ის უსათუოთ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველ ხალხს უდაო დახმარებას უწევს.

ასეთ ჟამს არსებობს საერთო ნიადაგი მტრის წინააღმდეგ—ქართველი ხალხის მიერ შექმნილი,—ერთათ ერთი პარტია—პარტია საქართველოს აღდგენის— ეროვნული ბრძოლის ფრონტი და მისი ხელმძღვანელი ეროვნული მთავრობა, რომლის გარშემო დღეს თავს იყრის ემიგრაცია. არ არსებობს სხვა ძალა დღეს გარდა საერთო ფრონტისა და არც შეიძლება არსებობდეს, ვამბობთ ჩვენ, სხვა უფრო რეალური და გამოსადეგი—დღევანდელ ჩვენ არსებულ განსაკუთრებულ პირობებში, რომელსაც შეეძლოს მეტის სინმდვილით ჩვენი საქმის ხელმძღვალობა. და აი ამ ჩვენს ისტორიულ საბედისწერო მომენტში ქართველი ხალხის მკვიდრი ძახილი მიტომაც გაისმის: განდევნა მტრის, საქართველოს განთავისუფლება! მოუწოდებს ყველას—საერთო ბრძოლის ფრონტში. ვინც ისმენს მის მშობლურ ძახილს, ეტანება მის მშობლურ სიყვარულს, მის ლტოლვას და მიზნებს დიად საქმისთვის.

ჭეშმარიტი ქართველი დღეს ამ საერთო ბრძოლის ფრონტს ვერ განშორდება, თუ შორდება და ქართველი ხალხის ფრონტის გარეშე საკუთარ ფრონტებს აარსებს, საერთო საქმის წინაშე დანაშაულს ჩადის.

საქართველოს ეროვნულ პოლიტიკური თავისუფლების აღდგენა და განმტკიცება... ამ ერთათ ერთ დიად მიზანს ემსახურებიან დღეს ყველა ჩვენი მებრძოლი ძალები—პოლიტიკური და კულტურული! ცეცხლში გახვეული ქვეყნის გადასარჩენათ—საერთო გზით ბრძოლა საერთო გიმარჯვებამდის მიგვიყვანს!..

ბ. გელა-გელაშანია.

ბერლინი.

ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის

ნაციონალიზმი.

გრძნობა ეროვნობისა ახალ დროთა ერთი დიდი ძალთაგანია, მან იმდენად შეუცვალა სახე ევროპის ვითარებას მე-19 საუკ. განმავლობაში, რომ ამ უკანასკნელს ეროვნებათა საუკუნის სახელი დაერქვა, ხოლო ნაციონალიზმი ეხლა მთელ ქვეყნიერობასაა მოდებული და ჯერ კიდე დიდი ცვლილებანია მისგან მოსალოდნელი.

ბუნებრივია ამიტომ ვიკითხოთ, რა არის ნაციონალიზმი. ბევრი თეორია შექმნილა მის გამოსარკვევად. ზოგი ამტკიცებდა მის იგივეობას ენასთან, ზოგი კულტურასთან, ზოგი კიდე პოლიტიკასთან, რჯულთან და სხვ. თქმა არ უნდა, ყველა ამ მოვლენას შეუძლია შექმნას ან ხელი შეუწყოს ეროვნულ შეგნების გაჩენას, ოღონდ თვით ნაციონალიზმი ამ მის შემადგენელ ელემენტებზე დიდი რამ არის. ნამდვილად ნაციონალიზმი არის გონების ერთნაირი ყოფა,—ნაციონალიზმი არის ადამიანთა საკმარისად დიდი რიცხვის მიერ გაზიარებული რწმენა, რომ ისინი ეროვნებას წარმოადგენენ; ეს არის ეროვნულ ერთობის გრძნობა.

ყველაფერი ეს იმდენად ცნობილია, რომ ჩვენ მხოლოდ იმ განსხვავებას მივაქცევთ ყურადღებას, რომელიც ეროვნულსა და რასულს შორის არსებობს. ამ ორ მცნებას ხშირად ურევენ ერთმანეთში, მაშინ როდესაც მათი საგნები სრულებით სხვადასხვაა. ეროვნება ფსიქოლოგიური წარმოდგენაა, რასა კი ფიზიოლოგიური სინამდვილე, რომელიც შეიძლება მეცნიერულად იქნას დამტკიცებული. ამრიგად რასა ნიშნავს იმას, თუ რას წარმოადგენდენ ხალხები სინამდვილეში ანტროპოლოგიურად, ხოლო ეროვნება, თუ რანი არიან ხალხები პოლიტიკურად, მათისავე რწმენით,

ახირებული რამ ხდება. უეჭველია, რომ რასულსა და ეროვნულს შორის ძირითადი და უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა პირველი, მიუხედავად ამისა რასას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ეროვნული მომენტი კი ულრმესად აღელვებს ყოველ ადამიანს. ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ რასის ნამდვილი ბუნება და მნიშვნელობა სწავლულებმა სულ ნახევარი საუკუნეა რაც გამოარკვიეს, ოღონდ მაშინაც კი, როდესაც რამე აზრი დამტკიცებულია მეცნიერულად, მის შეთვისებას ხალხის მიერ დიდი დრო სჭირდება და მის პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ გამოყენებას კიდე მეტი.

ერთის სიტყვით, დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონებულია უფრო ნაციონალიზმი, ვიდრე რასა; ამიტომ პრაქტიკულად პოლიტიკას ის კი არ სწყვეტს, თუ რაც ნამდვილად არიან ადამიანები, არამედ ის, რაც ჰგონიათ ვართო.

ამის მაგალითია უკანასკნელი ომი. საზოგადოდ მასში ხედავენ რასულს ომს. შემცდარი აზრია. ევროპაში მობინადრე სამი რასა იმდენად დაქსაქსულია და ერთმანეთში არეული, რომ ევროპაში არ მოიპოვება ერი, ორის რასის სისხლი არ ჰქონდეს შერეული, და დიდ უმეტესობას ხომ სამივე რასის სისხლი სდის ძარღვებში. ამიტომ დიდი ომი რასული კი არ იყო, არამედ სისხლით მონათესავე ხალხთა შორის შინაური ომი.

მაგრამ ევროპიელთა უმრავლესობას სჯერა, რომ სხვადასხვა რასისანი არიან, სჯერათ რასა ტევტონური, რასა ლათინური, სლავიანური, ანგლოსაქსონური. ასეთი რასები არ არსებობენ. ევროპიელს შეუძლია კიდეც შეიგნოს ეს აზრი, მაგრამ გულში მაინც ერთი ლათინად სთვლის თავის თავს, მეორე ტევტონად და სხვ.

ადამიანს ეუცხოვება პირველ დანახვაზე, რომ დღევანდელ ევროპაში გაბატონებულია თითქო რასის იდეა, ნამდვილად კი რასას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ ადვილი გასაგებია, ევროპის დიდი ძალა იყო ნაციონალიზმი, იმდენად დიდი, რომ, გაჩნდა თუ არა რასის იდეა, ნაციონალიზმი დაეპატრონა და თავის საჭიროების დაგვარად გარდაქმნა. სულ უკანასკნელ დრომდე ნაციონალიზმი იყო კულტურის, ენისა და ისტორიულ წარსულის იგივეობაზე აშენებულ ერთობის მძლავრი წარმოდგენა. ასეთი შეხედულება სავსებით უდგებოდა წინანდელ სინამდვილეს.. ახალმა დრომ კი გააფართოვა ჰორიზონტი და მასთან ეროვნულის მნიშვნელობაც გაფართოვდა. ეროვნულმა მოინდომა ეხლა ყოფილ, რაც უნდა შორეული ყოფილიყოს, ენით თუ კულტურით ნათესავის თავის კალთის ქყეშ შეკრება. საჭირო გახდა ახალი სახელის გამოგონება; გამოიყენეს ამისთვის მცნება «რასა» და შექმნეს ისეთ რასების სახელები, რომელნიც არ არსებობდენ,—პანსლავიზმი, პანგერმანიზმი, პანანგლიციზმი და სხვ. ნამდვილად კი ეს არის გაფართოებული და დღევანდელ პირობების დაგვარად მოკაზმული ნაციონალიზმი.

ასეთმა გაფართოებულმა ნაციონალიზმა ჯერ ევროპის დიდ ხალხებში იჩინა თავი, მაგრამ მალე სხვა ხალხებსაც მოედო და გაჩნდა პანელენიზმი და სხვ.

ამასობაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აზიაში გაჩნდნენ მოძრაობანი: «ახალგაზდა თურქი», «ახალგაზდა ეგვიპტე» და სხ., რომელნიც პირვანდელ ეროვნულ აზრს გამოხატავდენ. ამ საუკუნის დასაწყისში კი აზიის ხალხებმაც შეითვისეს გაფართოებული, რასულის სახელით მონათლული ნაციონალიზმი, და იქაც გაჩნდა ახალი მცნებანი: პანთურანიზმი, პანარაბიზმი და—რაცა სრულებით გასაოცარია —გაჩნდა «პანისლამური ნაციონალიზმი».

1. მე-19 საუკ. ისლამური ქვეყნიერობა თითქმის მოკლებული იყო შეგნებულ ნაციონალიზმს. არსებობდა ერთგულება თემისადმი, არსებობდა დინასტიური გრძნობა, როგორც მაგალითად თურქების ერთგულება მათის ფადიშაჰებისადმი. არსებობდა აგრეთვე რასული სიამყე, რომელიც გამოიხატებოდა არაბთა რწმენაში, რომ ისინი წარმოადგენენ «რჩეულ ერს». ამრიგად არსებობდა ყველა საჭირო ძლიერი ეროვნული ელემენტი, ოღონდ ჯერ კიდე არ შედუღებულიყო შეგნებულ ეროვნულ გრძნობაში.

ზოგ რამეში ისლამიც ეწინააღმდეგებოდა ნაციონალიზმს; მისი დებულება,—ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე ძმები არიანო,—და მისი პოლიტიკური მისწრაფება,—საერთო თეოკრატიული დემოკრატია,—ხელს უშლიდა, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულების ჩამოყალიბებას.

მუსულმანთა შორის ნაციონალიზმი ვითარდება მე-19 საუკ. მეორე ნახევარში. ოსმალეთი პირველია, სადაც თავს იჩენს ნამდვილი შეგნებული ეროვნული მოძრაობა, რომელიც სარგებლობს ამისათვის ოსმალთა ერთგულობას დინასტიისადმი, მათ რასულს სიამაყეს და იმ გარემოებას, რომ ისინი სუვერენულად ბრძანებლობდენ მრავალ ხალხებს, როგორც მუსულმანს ისე ქრისტიანს.

ამ სამოცი წლის წინად ოსმალოებმა თითქმის არა იცოდნენ რა თავიანთ წარსულის. მაჰმადის ცხოვრების წვრილმანი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ოსმალეთის ძლიერების სამს კონტინენტზე გავრცელება. გაჩნდნენ ნაციონალიზმის მქადაგებელნი, რომელთაც გადუშალეს თავიანთ მოძმეთ დიდებულ წარსულის ფურცლები და ამრიგად გაუღვიძეს სიამაყე და მომავლის რწმენა.

ასევე მოექცნენ ენას. არსებობდა ოფიციალური ენა, რომელშიაც არეული იყო არაბული, სპარსული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თურქული, და ენა ხალხური. პირველი ჭრელი და მძიმე, თითქმის გაუგებარი მდაბიო ხალხისთვის, მეორე განუვითარებელი, კილოკავებად დაყოფილი. ნაციონალისტებმა დაამუშავეს ხალხური ენა და შექნეს მისგან ის საერთო ენა, რომელიც ხალხსაც კარგათ ესმის და მწერლობაც ხმარობს.

ცხადია, თურქულ ნაციონალიზმს ხელს უწყობდა უმთავრესად დასავლეთის პოლიტიკური მიწოლა. რაც უფრო ემუქრებოდა ევროპა მის მიწა-წყლის მთლიანობას, მით უფრო თავგამოდებით იცავდა თავის დამოუკიდებლობას. ამრიგად შეიმქნა «ოტომანიზმი», ე. ი. ოსმალური ეროვნება, რომელშიაც ყველა მოქალაქეს, რა რჯულისა, რა ძირისაც უნდა ჰყოფილიყო, ოტომანების ოსმალო ერქმეოდა, ყველანი თურქულს ილაპარაკებდნენ და ოსმალურ პატრიოტიზმით გაიმსჭვალებოდნენ.

რა თქმა უნდა ასეთი ნაციონალიზმი დასაწყისშივე შეეჯახა სხვა, მასზე ადრე გამჩდარ ნაციონალიზმებს, სახელდობრ ქრისტიან ხალხებისას. არც აბდულ-ჰამიდი უყურებდა ეროვნულ მოძრაობას კარგი თვალით, რადგან ცალკე თავის თვითმპყრობელობის შემავიწროებელ ძალას ხედავდა ამ მოძრაობაში და ცალკე პანისლამურ აზრის მოწინააღმდეგეს.

1908 წ. რევოლიუციამ გააბატონა ეროვნული პარტია, ახალგაზდა თურქები. მაგრამ ამათმა გადამეტებულმა ნაციონალისტობამ, მთელის ქვეყნის ერთბაშად გაოსმალების სურვილმა ზურგი შეაქცევინა სხვა ეროვნებათ მომხდარ რევოლოუციისათვის, ხოლო ბალკანეთის საქრისტიანო სახელმწიფოთ მიზეზი მისცა დასცემოდენ 1912 წ. ოსმალეთს.

ოსმალეთი იწყებს ნაციონალიზმის მეორე ხანაში, რასულში, გადასვლას, იწყება პანთურქული და პანთურანული მოძრაობა.

ცოტა ხანს უკან ოსმალოებს შემდეგ იწყება ეროვნული მოძრაობა არაბებში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ არაბები ვერ შეეთვისნენ თურქების ბატონობას და მუდამ დამოუკიდებლობაზე ჰფიქრობდნენ. გარდა იმ ღრმა განსხვავებისა, რომელიც არსებობს თურქისა და არაბის ხასიათში, ერთი ზედმეტი მიზეზი მათის შეურიგებლობისა და არაბთა მოძრაობისა ისიც იყო, რომ ამათის შეხედულობით თურქებმა შერყვნეს ისლამი. ვაღაბისტების მოძრაობასაც უმთავრესად ეს აზრი ედო საფუძვლად.

არაბთა ეროვნული მოძრაობა 1860 წლის შემდეგ იზრდება უმთავრესად და უფრო კიდე 1877-78 ოსმალეთის რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ. ოღონდ ამ დროინდელი სულთანი აბდულ-ჰამიდი, რომელიც პანისლამურ პოლიტიკას აწარმოებს და სცდილობს ამ ნიადაგზე არაბებსა და თურქებს შორის ერთობის ჩამოგდებას, ძლიერ ეფერება არაბებს, არ აკლებს მათ უფროსებსა და წარჩინებულთ დასაჩუქრებას და მოწყალებას.

ეს ანელებს დროებით არაბთა ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ მე 19 საუკ. ბოლოს თავს იჩენს უკმაყოფილების ახალი ტალღა. იწყება დევნა და მრავალი ნაციონალისტი არაბი იძულებულია გაიხიზნოს, გახიზნულები თავს იყრიან ეგვიპტეში და იქიდან ეწევიან სარევოლუციო პროპაგანდას. 1895 წ. პარიზში არსდება «არაბთა ეროვნული კომიტეტი». 1905-ში, ათის წლის თავზე, ხდება ჰეჯასისა და იემენის აჯანყება, რომელიც ოსმალეთმა ვერა დროს ვერ ჩააქრო საბოლოოდ. ამ აჯანყების წყალობით დამარცხდა ოსმალეთი ტოიპოლიტანსა და ბალკანეთში 1911 და 1912 წლებში.

1908 წ. რევოლიუციამ დიდი სიხარული აღძრა არაბებს შორის,— დესპოტიზმის გაუქმებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ოსმალეთის პარლამენტში, სადაც მრავალი დეპუტატი ყავდათ, საერთო სახელმწიფოში დარჩენას თანხმდებოდნენ, ოღონდ ავტონომიას მოითხოვდნენ. ახალგაზდა თურქებმა, რომელნიც ყველას გაოსმალებას ოცნებობდნენ, ცივი უარი უთხრეს. ამ გარემოებამ გააძლიერა სეპარატული მოძრაობა. აქამდის ოსმალეთის ფარგლებში თუ ეძებდნენ დამუკიდებლობას, ეხლა ოსმალეთის არაბები უკავშირებენ თავიანთ საქმეს ეგვიპტესა და აფრიკეთის ჩრდილოეთისას და დიდ პანარაბულ სახელმწიფოს შექმნაზე იწყებენ ლაპარაკს. აქაც, როგორც ოსმალეთში, ნაციონალიზმი გადადის მეორე ფაზისში, რასულში.

ოსმალეთში, მიუხედავად პანისლამურ მოძრაობისა, რომელიც გააძლიერა 1911-12 წ. წ. ევროპიელთა აგრესიობამ, არაბებს შორის მაინც ღვივის ეროვნული მოძრაობა წინააღმდეგ იმ გასაოსმალებელ ზომებისა, რომელსაც აწარმოებენ ახალგაზდა თურქები. ისე იზრდება დამოუკიდებლობის მისწრაფება, რომ დიდის ომის დაწყებისას, ოსმალეთის არაბული პროვინციები სარევოლუციო ცეცხლით არიან მოდებული.

მართალია, «სამღვთო ომის» გამოცხადებამ, ერთის მხრით, ეგვიპტეს დაბრუნების და, მაშასადამე, ოსმალეთის და ეგვიპტეს არაბთა გაერთიანების იმედმა, მეორეს, შეურიგა ოსმალეთს არაბთა საზოგადოებრივ აზრის ერთი ნაწილი, მაგრამ ომი გაგრძელდა და შეურიგებელმა ნაწილმა, რომელსაც ინგლისი უპერდა მხარს, წამოჰყო თავი. და ამათ გაჰყვა ოსმალეთის მთელი არაბეთი. მოკავშირენი ეროვნულ დამოუკიდებლობას დაჰპირდნენ, და არაბებმაც გაილაშქრეს ოსმალეთზე. და ეს შეიქნა ოსმალეთის 1918 წ. დამარცხების უმთავრესი მიზეზი.

რამდენიმე სიტყვა აფრიკეთის გაარაბებულ ჩრდილოეთის ეროვნულ მოძრაობის შესახებ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ეგვიპტეს ეროვნული მოძრაობა.

ეგვიპტეს ხალხი დღესაც იგივეა, რაც ფარაონების დროს იყო. ფელახები, როგორც მათ უწოდებენ, მძიმე, თავისნება გლეხობას წარმოადგენენ. ვინ არ ეპატრონებოდა ამ ნილოსის პირელ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში.—არაბები, ქურთები, ჩერქეზები, ალბანელები და თურქები. ესენი წარმოადგენდენ მცირე რიცხოვან ზედაფენებს. ინგლისელების გაბატონებამდე მართვა-გამგეობა ამათ ხელში იყო. ამათ გარდა და გარდა ევროპიელებისა, რომელნიც განსაკუთრებულ პირობებში სცხოვრობდნენ, ე. ი. არ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ კანონებს და წესებს, იყო კიდე მცხოვრებთა ერთი ჯგუფი,—კოპ-

ტები,—რომლებმაც არაბების ბატონობის დროს შეინარჩუნეს და ბოლომდე შეინახეს ქრისტეს რჯული.

ასეთი ქვეყანა. სადაც უცხოთა ბატონობა ძველის ძველ ჩვეულებად გადაქცეულა, თითქო ვერაფერი ნიადაგია ეროვნულ მოძრაობის გასაჩენად. მეორეს მხრით, ეგვიპტე აღმოსავლეთის ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო განიცდიდა ევროპის გავლენას. თვით მმართველები ხელს უწყობდნენ ქვეყნის გაევროპიელებას, მაგრამ გაევროპიელება ფულს საჭიროებდა, ფული სესხსა და ვალს ნიშნავდა, ხოლო ევროპიელებისაგან დავალიანება მათ შინაურ საქმეებში ჩამორევას. ამ გაევროპიელებამ გამოიწვია წინააღმდეგობა და ეს იყო პირველი ნიშნები ეგვიპტურ ნაციონალიზმისა, მოძრაობა გაიზარდა და ერთ დღეს ჩამოყალიბდა დევიზად: «ეგვიპტე ეგვიპტელებს».

ასე მოხდა წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში. მას აქეთ ეროვნული მოძრაობა ეგვიპტეში მუდმივ ბრძოლაშია ინგლისურ ბატონობის წინააღმდეგ. გარემოებათა მიხედვით ამ ხნის განმავლობაში ხან ახდილად სწარმოებდა, ხან მალულად, ხოლო თუ ღრმავდებოდა და იზრდებოდა, თორემ არას დროს არ ნელდებოდა.

ჩრდილოეთ აფრიკეთის ხალხები არ იჩენენ მაინცადამაინც ღრმა ეროვნულ გრძნობებს.

ხმელთა შუა ზღვასა და სახარას შუა მოქცეული აფრიკეთის ნაწილი უმთავრესად ბერბერებით არის დასახლებული. ბერბერები უფრო ევროპიელების მონათესავე ხალხია, ვიდრე აფრიკეთის მკვიდრნი; დიდათ უყვართ თავიანთი ენა და მტკიცედ ინახვენ თავიანთ ზნე-ჩვეულებათ, მაგრამ ამავე დროს თემებად დაყოფილთ ვერ შეუმუშავებიათ საერთო ეროვნული წარმოდგენა და გრძნობა.

არაბებისაგან ამ ათას ორასის წლის წინად ჩრდილო აფრიკეთის დაპყრობას მოჰყვა ბერბერების გამუსულმანება, ოღონდ ამ მოქცევამ ბერბერები ვერ აქცია არაბებად და ეს ორი რასა, მიუხედავად ათასის წლის განმავლობაში არაბების ბატონობისა, განსხვავებული დარჩა.

მაროკოს მხარე ყველაზე უფრო წყნარი იყო მუდამ, და რაც შეეხება სხვა ნაწილებს (ალჟირი, ტუნისი და ტრიპოლიტანი), აქ ევროპიელებს მხოლოდ ნავთსადგურები თუ ქონდათ ნაპირებზე და შიგნით ადგილობრივი მოსახლეობა დამოუკიდებელი იყო სრულებით. ამას გარდა აქ შემოვიდა საფრანგეთი, დაიპყრო ეს ქვეყნები (ალჟირი, მაროკო) და წესიერებასთან ერთად შემოიტანა მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ ბატონობა მაინც ბატონობაა და მან შექმნა მკვიდრთა შორის გაერთიანების სურვილი და დამოუკიდებლობის მისწრაფება. გაჩნდა პოლიტიკური გაერთიანებანი «ახალგაზდა ალჟირელი», «ახალგაზდა ტუნისელი», რომელთაც მეთაურებდნენ ევროპიულად განათლებული პიროვნებანი, მაგრამ ამ ორგანიზაციების ნამდვილი აზრი ალჟირელ და ტუნისელ ერების შექმნა კი არის, **რამდენად ჩრდილო აფრიკეთის უფრო დიდის ერთეულისა, შეიძლება პანისლამურისა,**

ასეთია პანისლამურ მოძრაობის პირველი ხანა არაბთა და გაარაბებულ ხალხთა ქვეყნებში.

სამუსულმანოში დაგვრჩა ერთი საყურადღებო ეროვნული ცენტრი, სპარსეთი. ეროვნულ მოძრაობას ყველაზე უფრო აქ უნდა მოელოდეს ადამიანი, რადგან საუკუნოებია სპარსეთს აქვს ისეთი განვითარებული ეროვნული გრძნობა, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის არც ერთს ხალხს არ ჰქონია.

მე-19 საუკ. სპარსეთი ისე დაკნინდა, რომ რუსეთსა და ინგლისს იმპერიალისტური მადა გაუღვიძა. დაწინაურებული სპარსელები ხედავდნენ თავიანთ ქვეყნის დაცემას. დაიბადა რეფორმისტული მოძრაობა, რომელიც მე-19 საუკ. დასაწყისში ბაბიზმში გამოიხატა და 1908 წლის რევოლიუციით დამთავრდა. ამ რევოლიუციის მოხდენას ხელი შეუწყო ინგლის-რუსეთის შეთანხმებამ, რომლის თანახმად სპარსეთი გავლენის სფეროებად იყო გაყოფილი,—ჩრდილო სპარსეთი რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა და სამხრეთი—ინგლისისაში. მაგრამ, მეორეს მხრით, რევოლიუციის მეორე საგანი იყო კაჯართა უცხო დინასტიის გადაგდება. კაჯარები შთამომავლობით თურქმანები იყვნენ, შინაურობაში თურქულ ენას ხმარობდნენ და არა სპარსულს; მათი მართვა-გამგეობა არას დროს არ იყო სახეირო სპარსეთისათვის. ამრიგად სპარსული რევოლიუცია იყო ირანულ პატრიოტიზმის, სპარსულ ეროვნულ გრძნობის აფეთქება გარეშე, დასავლეთის იქნებოდა თუ აღმოსავლეთის, გავლენათა წინააღმდეგ. 1912 წ. რუსეთმა და ინგლისმა მოაღწიეს ეს მოძრაობა. ერთმა ინგლისელმა მწერალმა შენიშნა მაშინ: «საერთო დაღონებისა, დამსხვრეულ იმედებისა და დღევანდელ სპარსეთში გამეფებულ ანარქიის პირდაპირი პასუხისმგებელნი რუსეთი და ინგლისია, და თუ ერთ დღეს ანგარიში მოეთხოვება ვისმე, სწორედ მათ მოეთხოვება».

ნ ო ე მ ბ ე რ ი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დამთავრდა რაიხსტაგის არჩევნები—მეხუთე ამ წელიწადში:—13 მარტი (პრეზიდენტის), 10 აპრილი (პრეზიდენტის—საბოლოო), 24 აპრილი (პრუსიის), 31 ივლისი (რაიხსტაგის), 6 ნოემბერი (ოაიხსტაგის II). შედეგი?! მეტად არა-სასიხარულო: კიდევ უფრო დასუსტდენ ვაიმარის კონსტიტუციის, რესპუბლიკანური პარტიები;—დაჰკარგა სოციალდემოკრატიამ, დაჰკარგა ცენტრმა, დაჰკარგა კი არა სულ განადგურდა სახელმწიფო (დემოკრატული) პარტია. გაძლიერდენ: კომუნისტები, გერმანული ეროვნული (ჰუგენბერგი) და ეროვნული (შტრეზემანი) პარტიები. ეს უკანასკნელი ხომ თავის სახელოვან ლიდერის გარდაცვალების შემდეგ აშკარა რეაქციის გზას დაადგა.

ერთად ერთი დამაკმაყოფილებელი ამ უკანასკნელ არჩევნებში არის ძლიერი დამარცხება ნაციონალ-სოციალისტურ პარტიისა, **რომელმაც დაჰკარგა ორ მილიონზე მეტი ხმა და 34 მანდატი.—და თუ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცა ეხლა არჩევნებში 37.162.000 მაგივრად (84 პრ.) 35.402.306 ქალმა და კაცმა (79 პრ.) მიიღო მონაწილეობა, შედეგი მაინც გამოხატავს დაახლოვებით იმ სულისკვეთებას, რომელიც ამ ხანად გამეფებულია გერმანელ ხალხში.

ფონ პაპენ-შლაიხერის მთავრობამ რაიხსტაგის დათხოვნით და ახალ არჩევნების დანიშვნით თავის უმთავრეს მიზანს მიაღწია: მოისპო ნაციონალ-სოციალისტების და ცენტრის უმრავლესობა ახალ პარლამენტში. ეხლა გერმ. ეროვნულ პარტიის გამოკლებით—და ამ პარტიას ეყრდნობა ფონ-პაპენ-შლაიხერი—შეუძლებელია ახალი მთავრობის შედგენა.—კომუნისტ-ნაც.-სოციალისტების უმრავლესობის კი მათ არასდროს ჰქონიათ შიში.

გადავავლოთ თვალი არჩევნების შედეგს, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მდგომარეობა. ნაციონალ-სოციალისტებმა მიიღეს 11.713.785 ხმა და 196 მანდატი (ივლისში 13.745.781 ხმა და 230 მანდატი), სოც.-დემოკრატებმა 7.237.894 და 121 მანდატი (ივლისში 7.959.712 და 133 მანდატი), კომუნისტებმა 5.974.209 და 100 მანდატი (ივლისში 5.282.626 და 89 მანდატი), ცენტრმა ბავარიის კათ. პარტიასთან ერთად 5.310.565 და 88 მანდატი (ივლისში 582.019 და 97 მანდატი), გერმ. ეროვნულ პარტიამ 3.064.977 და 51 მანდატი (ივლისში 2.177.414 და 37 მანდატი), ეროვნულ პარტიამ 660.092 და 11 მანდატი (ივლისში 436.012 და 7 მანდატი) და სხვ.

რას გვეუბნებიან ჩვენ ეს ციფრები?

ნაციონალ-სოციალისტური პარტია, არაბუნებრივად, შემადგენელ ნაწილთ ინტერესთა წინააღმდეგობის მხედველობაში მიუღებლად ხელოვნურად შეკოწიწებული, იროვვა: ბურჟუაზული ელემენტები უბრუნდებიან ბურჟუაზიულ პარტიებს, პროლეტარული (განსაკუთრებით დეკლასური) მიდის კომუნისტებთან. ჰიტლერს რჩება წვრილი ბურჟუაზია,—შპისერი: და ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, სანამ ეს ასე წოდებული «რასისტების» არმია, რომელმაც ფონ პაპენის მთავრობას გზა გაუკაფა და მოუმზადა კომუნისტებთან ერთად, მინიმუმამდე არ დავა.

გერმანიის სოც.-დემ. პარტიის მიერ ხმების დაკარგვა და კომუნისტების გაძლიერება აიხსნება უმთავრესად იმ პოზიციით, რომელიც დაიკავეს პარტიამ და პროფეს. კავშირებმა ბერლინის ტრამვაიომნიბუს-მეტროს მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვაში. ისინი არ შეუშინდენ ნაც.-სოციალისტების და კომუნისტების დემაგოგიას, რომელთაც გაფიცვის მხოლოდ პოლიტიკური მხარე აინტერესებდა არჩევნების წინ, თვით საარჩევნო ხმების დაკარგვასაც არ მოერიდენ, სიმართლეს არ უღალატეს და ამიტომ, თუმცა ამ დროებით პოლიტიკურად წააგეს, მაგრამ მორალურად—და ეს არის სწორედ მომავალ მუშაობისათვის საჭირო—მოიგეს. თავის ჩარევით პარტიამ და პროფესიონალურმა კავშირებმა გამოასწორეს თითქმის მთლად წაგებული საქმე. ეხლა გამოჩნდა ეს,—არჩევნების მეორე დღეს, როდესაც გაფიცვის ხელმძღვანელ კომიტეტმა (ნაც.-სოც. და კომუნისტების მეთაურობით) განკარგულება მოახდინა დაუყონებლივ შესწყვიტეთ გაფიცვაო, ეხლა მათ აღარ აინტერესებთ გაფიცვა:—მავრმა თავისი როლი შეასრულა. ქუჩაზე გამოყრილ მუშებზე, რომელთა რიცხვი ათასს აღემატება. აწ ისევ იმ სოც.-დემ. პარტიამ და პროფ. კავშირებმა უნდა იზრუნონ... ყველას სოც.-დემ. პარტია ჰყავს ამოღებული ნიშანში, რადგან ყველა გრძნობს, ყველამ იცის, რომ მომავალი მისთვის მუშაობს—მისია.

ცენტრის მიერ ხმების დაკარგვა გამოწვეულია ამრჩეველთა შიშით, რომ ნაც.-სოც. პარტიის მასთან პოლიტიკურ მოლაპარაკებას რეალური ფორმები არ მიეცეს, საქმედ არ იქცესო. და ამგვარად შეიქნა მდგომარეობა, რომელიც ფონ პაპენ-შლაიხერის ნახევრად დიქტატორულ,—«პრეზიდიალ», მთავრობის პოზიციას უფრო ამაგრებს: ახალი მთავრობის შედგენის საქმე უფრო გაძნელებულია, და თუ ეს მესაძლებელი შეიქნა—მხოლოდ იმ პარტიის საშუალებით და დახმარებით, რომელსაც დღევანდელი მთავრობა ეყრდნობა... ბოლოს და ბოლოს პირებზე ხომ არ არის საქმე:—იქნება კანცლერი ფონ პაპენი, შლაიხერი, ფონ გაილი, თუ სხვა ვინმე ამ წრის, ამ სისტემის, რომელსაც გერმანელ ხალხის ცხრამეათედმა უნდობლობა გამოუცხადა, ეს ხომ მდგომარეობას არ სცვლის... მაგრამ სწორედ ის უნდობლობა, რომელსაც ამ ცხრამეათედშიც მაგრად აქვს ფესვები გადგმული, აძლევს ერთმეათედზედ დაყრდნობილ ჯგუფს იბატონოს, იბრძანებლოს...

ის, რაც ეხლა გერმანიაში ხდება, მეტად დამაფიქრებელი, ანორმალი, საშიშია—საშიში არა მარტო თვითონ გერმანიისათვის, არამედ მთელ ევროპისათვის და ამით მთელ ქვეყნიერებისთვისაც. ასეთი აღვირ-წახსნილი ნაციონალიზმი, სიძულვილი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, შეურიგებლობა, რომელიც სხვაფერ მოაზროვნის განადგურებას, დიახ სიკვდილს ითხოვს და რომელსაც მოპირდაპირე ძალთა თითქმის თანასწორობა კიდევ უფრო აღრმავებს, წარმოუდგენელია დღეს რომელიმე სხვა, კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელ, ქვეყანაში. ჯერჯერობით ყველაფერი ეს დაგუბულია... საჭიროა მალამო, საჭიროა გამოსავალი ორგანიზმის განკურნებისათვის.—და ეს მალამო, ეს გამოსავალი რესპუბლიკის კვლავ აღდგენაში, დემოკრატიის გამაგრებაშია... თორემ დღევანდელი მდგომარეობა გერმანიაში ცუდის გარდა არაფერს უქადის გოეთესა, შილლერისა და ბეთჰოვენის სამშობლოს მომავალს შიგნით და გარეთ...

რაშია საქმე?! რით აიხსნება, რომ არ იქნა და არ ეშველა არაფერი რესპუბლიკის სტაბილიზაციას, მის იდეის გამარჯვებას გერმანელ ხალხში?!.. ამას მშვენივრად ხსნის სოციალისტურ მეცნიერულ ჟურნალის «ზეზელ შაფტის» მორიგ ნომერის მოწინავეში ნიჟიერი პუბლიცისტი გეორგ დეკერი. ის ამბობს: «გადატრიალება, რომელიც 1918 წ. გერმანიაში მოხდა, როგორც პროცესი არ იყო რევოლუცია... ძველი რეჟიმი არ დაცემულა აჯანყებულ ძალთა შეტევით, არამედ დაინგრა თავის თავად, როგორც ომში დამარცხებული. ამას მოჰყვა შედეგად სახელმწიფო-

ებრივი ფორმის შეცვლა, რაც დემოკრატიის დამყარებით დამთავრდა» ო.

არ შემიძლია აქვე არ მოვიყვანო ნაწყვეტი იმ მოგონებიდან, რომელიც რესპუბლიკანელ მწერალმა გეორგ ჰუნეუსმა ჰინდენბურგის 85 წლის თავზე «ფოსიშე ცაიტუნგში» გამოაქვეყნა და რომელიც თავისებურად ხსნის, აშუქებს იმ მდგომარეობას, «რომ ამ ცამეტი წლის განმავლობაში დრო რესპუბლიკის წინააღმდეგ მუშაობდა».—«მრგვალ სუფრის გარშემო ძველ ბერლინის ერთ კვამლიან რესტორანში ომის უკანასკნელი წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში სხედან სოციალდემოკრატები—პარლამენტის წევრები და ჟურნალისტები. ეს რამოდენიმე დღეა ისინი მთავრობის პარტიას წარმოადგენენ. დემოკრატიულ კონსტიტუციის შემოღება მოკლე ხანის საქმეა. ისტორიული საათია დიდ პარტიისათვის. ისინი ბაასობენ ახლო მომავლის ამოცანებზე. ულრიხ რაუმერი (გერმანიის ელჩი საქართველოში, გარდაიცვალა შარშან) ყველაზე ახალგაზდა ამბობს: «მონარქია მიუღებელია, მეფე უნდა გადადგეს». ფრიდრიხ ებერტი აწყვეტინებს: «ეს შეხედულება ტიპიურია ინტელიგენტებისათვის, როგორიც არიან ლედებური და ლიბკნეხტი, რომელნიც ვერ იცნობენ მუშის ნამდვილ სულისკვეთებას»;—ებერტი ლაპარაკობს ირონიულად ახალგაზდობის გაუმაძღრობაზე და ბოლოს ამბობს: «რადგან ახლო მომავალს გერმანიისათვის კიდევ უფრო მეტი ტანჯვა, დამცირება და მძიმე ამოცანები მოაქვს,—საჭიროა ამ ხანად ძველი სახელმწიფოებრივი ფორმის, მონარქიის შენარჩუნება»... და როდესაც შაიდემანმა ერთი თვის შემდეგ რესპუბლიკა გამოაცხადა, ებერტი იყო რომ თავის მეგობარს მძიმე და მწარე საყვედურებით შეხვდა... სწორად განსჭვრიტა სიტუაცია ებერტმა. რაც არ უნდა მომხდარიყო, ახლო მომავალს გერმანელ ხალხისათვის მძიმე ტვირთის მოტანის მეტი არაფერი შეეძლო... და ეს ტვირთი ახალგაზდა რესპუბლიკას უნდა ეზიდა,—მთელი პასუხისმგებლობა მას უნდა აეღო თავზე?!..—გერმანელები ხომ მონარქისტები იყვნენ?!..» მდგომარეობის გამოსწორებას დრო და მტკიცე მიზანშეწონილი მუშაობა უნდა.. გერმანელებმა პირველის გამოყენება იციან დაუკარგავად, მეორესი კი წარმართვა.—ადამიანობამ უნდა გაიმარჯვოს.

მ.—ანი.

ბერლინი 8 ნოემბერი 1932 წ.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

«ბრძოლის ხმის» წერილს ანგორასა და მოსკოვის შესახებ ეხება მ. გ. რასულ-ზადე გაზ. «ისტიკლალ» ში: «თუმცა ჩვენ სრულიად არ ვიზიარებთ, სწერს ავტორი: ჩვენი ქართველი მოძმის შიშსა და მოსაზრებას, რომელიც ანგორისა და მოსკოვის ურთიერთის დიპლომატურ პატივისცემას მეტად გულითადს მნიშვნელობას აძლევს, მაგრამ არ შეგვიძლია არ გავიმეოროთ ერთი ფრიად მართალი დებულება, რომ «წყობილება მიდის, ქვეყანა კი რჩება». უდავოა, თურქეთის რეალური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ მის მეზობლად იყოს არა რუსეთი (რა სახისაც არ უნდა იყოს), არამედ დამოუკიდებელი კავკასიის რესპულიკები. კავკასიის თავისუფლება თურქეთის თავისუფლებაცაა. არ ვფიქრობთ, რომ ეს უთუო ჭეშმარიტება არ ესმოდეთ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც დღეს თურქეთს უდგანან სათავეში. ჩვენს აზრს ადასტურებს ის გარემოება, რომ სწორედ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ თურქეთი შევიდა ჟენევის დაწესებულებაში. თუმცა უნდა დავსძინოთ, რომ უფრო ავტორიტეტული სიტყვა ამ საგანზე ეკუთვნის თურქეთის პრესას. ჩვენი სურვილი კია, რომ 1932 წ. ივლისის შემდეგ დადგეს ახალი ისტორიული ხანა, და როგორც თურქეთის მოღვაწეთა, ისე ლიგის და დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელთა გონებაში უფრო და უფრო გაღრმავდეს ერთმანეთის გაგება და შესაძლებლობა თანამშრომლობისა პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგზე. თურქეთი განსაკუთრებულ გაჭივრებას განიცდის იმ კრიზისისაგან, რომელიც მთელს ქვეყანას მოედვა. გაღატაკებული რუსეთი მას ვერ დაეხმარება. ხოლო ვიდრე თურქეთი პოლიტიკურად გადაბმული იქნება მოსკოვზე, დასავლეთის ეკონომიური დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამავე დროს თურქეთთან შეთანხმება შემატებაა ევროპისთვისაც. როცა უკანასკნელს საფრთხე მოელის ბოლშევიკებისაგან». ბოლოს ავტორი ასე ათავებს თავის წერილს: «ჩვენ სრულიად გვესმის მღელვარება ჩვენი ქართველი მეზობლების, რომლებიც ფიქრობენ, რომ თურქთა ძალა საბჭოების მხარეზე დადგა. ვიქონიოთ იმედი, რომ თურქეთი რაკი ნაციათა ლიგის წევრი გახდა, უფრო და უფრო დაამტკიცებს თავის მოქმედებით, რომ მისი კავკასიელი მეზობლების შიში ნაადრევი იყო».

კვირას 11 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე Bagneux-ს სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ნოე რამიშვილის საფლავზე მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲬᲐᲮᲕᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ)

საქართველოს ცენტრალური არქივის და მუზეუმის დავალებით, ცენტრარქივის თანამშრომელმა ბოჭორიძემ გამოიკვლია ძველი მესხეთის ტერიტორია. ნაპოვნია 8 ქვა მხატვრული რელიეფებით, რომელსაც აკუთვნებენ ჩვენი ხალხის მე 6, 7 და 8 საუკუნეებს. მე-6 საუკუნის რელიეფები უფრო ძველია, ვიდრე ჯვარის რელიეფები (მე-7 საუკუნის დასაწყისი), რომლებიც დღემდე ითვლებოდა უძველესად.

ერთ-ერთ ქვას, რომელიც მოქცეულია ვარძიის მონასტრის კედელში, აქვს მწერალ იოანე შავთელის (შოთა რუსთაველის თანამედროვე მწერალი) წარწერა. აღმოჩენილია აგრეთვე ხელთნაწერი წიგნები, ერთი მათგანი, რომელიც ეკუთვნის 1328 წელს, დაწერილია პერგამენტზე. სხვა წიგნები დაწერილია უფროგვიან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელთნაწერი სომხურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ერთად ერთია ასეთი ლექსიკონებს შორის. ყველა წიგნი მოტანილია საქართველოს ცენტრარქივში. რელიფებიდან გადაღებულია ფოტოსურათები.

— მოსკოვის დიდი თეატრის სამხატვრო საბჭომ მოისმინა ზ. ფალიაშვილის ოპერა «აბესალომ და ეთერი» და გადაწყვიტა, ოპერა შეტანილ იქნეს დიდი თეატრის ფილიალურ განყოფილების რეპერტუარში და დაიდგას მიმდინარე ზეზონშივე.

«აბესალომ და ეთერი» შარშან დადგეს ხარკოვის თეატრში და ოთხი თვის განმავლობაში წარმოადგინეს 23 ჯერ. აპირებენ მის დადგმას კიევშიც. გარდა ამისა უცხოეთიდან, კერძოდ გერმანიიდან მოუთხოვნიათ «აბესალომ და ეთერი», «დაისი» და «შოთა რუსთაველი».

— ამ. კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაითხოვა ბიუროს შემადგენლობიდან მამია ორახელაშვილი, გ. ყურულაშვილი და შუნიატ-ზადე. ორახელაშვილს ჩამოართვეს პირველი მდივნობა და მის ალაგას დანიშნეს ლ. ბერია, რომელიც ამავე დროს დარჩება საქართველოს კომ. პ. ც. კომიტეტის პირველ მდივნად.

ამ. კავკასიის სამხარეო კომიტეტში შეიყვანეს ალ. სვანიძე, რომელიც დაინიშნა აგრეთვე ამ. კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. კომიტეტის ბიუროს წევრებად დანიშნეს პ. აღნიაშვილი და მ. ბაგიროვი, ხოლო კანდიდატათ ალ. სვანიძე.

საქართველოს კომ. პ. ცენტრ. კომიტეტმა მეორე მდივნობა ჩამოართვა პ. მელაძეს და მის მაგიერ დანიშნა პ. აღნიაშვილი.

— 1934 წ. ტფილისში გაიმართება მთელი მსოფლიოს პრესის გამოფენა. პირველი ეტაპი გამოფენისა—84 ვიტრინა—უკვე წელს მოეწყო და გაიხსნა.

ქართველები საფრანგეთში

ოქტომბრის 23 შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის სხდომა 1924 წ. აჯანყებაში დაზოცილთა ხსოვნის ალსანიშნავად. ასოციაციის თავჯდომარემ ბ. გიორგი ყურულმა წარმოსთქვა სიტყვა აჯანყების მნიშვნელობაზე, დაახასიათა ქართველი ერის ის ხანგრძლივი ისტორიული ბრძოლა, რომელსაც იგი ეწოდა როგორც ომით, ისე აჯანყებით, და იმედი გამოსთქვა, რომ ამ მებრძოლი ერის განთავისუფლება აღარ დააყოვნებს.

შემდეგ ბ. დავით ვაჩნაძემ წაიკითხა თავის მოგონებანი ხევსურეთის აჯანყებაზე (1922 წ.) ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ამ აჯანყების მომზადებაზე, და განსაკუთრებით შეჩერდა იმ გეგმაზე, რომლითაც პოლკ. მუსხელიშვილი და მისი თანამოაზრენი აპირებდენ მოქმედებას. ეს შეთქმულება ჩაიშალა, მისი მთავარი მონაწილენი დახვრეტილ იქმნენ, და ის იმედი, რომ საქართველო განთავისუფლდებოდა მაშინდელ პირობებში იოლად, გაქარწყლდა. მომხსენებელი ამაში ბრალს დებს მაშინ მოქმედ ძალთა დაქსაქულობას და აქედან დღეისთვის გაკვეთილს იძლევა, ძალთა გაერთიანება—იყო მისი მოხსენების დევიზი.

კოლონიის საქმეებზე ილაპარაკა ბ. თავმჯდომარემ. მან კრებას მოახსენა, თუ რას აპირებს კოლონიის გამგეობა, გადაუშალა კრებას ის გეგმა, რომლითაც გამგეობა აპირებს მუშაობას. გეგმა თავისთავად ყველასათვის მოსაწონი და მისაღებია, მაგრამ კოლონიას არ აქვს მატერიალური საშვალება მის განსახორციელებლათ, და მის მუშაობას განსაკუთრებით ხელს უშლის უბინაობა. ამიტომ გამგეობამ მოუწოდა წევრებს, გადაიხადონ საწევრო გადასახადი და აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე დახმარებისათვის. კრებამ ეს მოსაზრება გაიზიარა. გამგეობას დაავალა აგრეთვე თვითონ შეადგინოს «უმუშევართა დამხმარე კომიტეტი», და მოიწვიოს იქ წევრებათ ისეთი პირები, რომელნიც ამ მუშაობისათვის გამოსადეგი იქნებიან.

N.

ქართველები გერმანიაში

11 სექტემბერს ბერლინის ქართველ საზოგადოებამ გამართა სამგლოვიარო კრება 1924 წლის აჯანყების მერვე წლის თავის აღსანიშნავად. წარმოითქვა დღის შესაფერი სიტყვები. ხალხი მრავლად დაესწრო.

30 აგვისტოს აქ მოეწყო საღამო ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად გარდაცვლის 25 წლისთავის აღსანიშნავად. საღამოს გამმართველთა სახელით მრავალრიცხოვან კრებას შესავალ სიტყვაში მიესალმა აქაურ ქართველობის უხუცესი ბ. გრ. დიასამიძე და კარგად ჩამოსხმულ სიტყვაში დაახასიათა ილიას მოღვაწეობა: მწერლის, საზოგადოებრივ მუშაკის, ადამიანის. შემდეგ ილაპარაკეს: დ. ღამბაშიძემ, ტ. მარგველაშვილმა, მ. წულუკიძემ, გ.-გელაზანიამ და ნ. ნაკაშიძემ.

ამას წინათ აქაურ ქართველ კოლონიის საზოგადო კრებაზე მოხსენება გააკეთა თურქესტანის განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. მუსტაფა ჩოკაიმ. მეტად საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება ბ. ჩოკაიმ დაამთავრა მოგონებებით საქართველოზე, სადაც ის კარგა ხანი ცხოვრობდა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს.

ამ მოკლე ხანში მოხდება ქართველ საზოგადოების წლიური კრება, რომელმაც უნდა მოისმინოს გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება. შემდეგ მოხდება ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბეიჯანელთა შორის

გამოვიდა აზერბეიჯანული გაზეთ «ისტიკლალ»ის მეთორმეტე ნუმერი. მოწინავე წერილში მ. ე. რასულ-ზადე არკვევს კავკასიის ერთა მთლიანობის საკითხს და მის აუცილებლობას და გარდაუვალობას. ავტორი ასახელებს «მუსავატის» პარტიის კონგრესის, და აზერბეიჯანის მთავრობის დადგენილებათ 1919 წ. და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას წერილებს, აშუქებს კავკასიელთა ერთობის იდეას წარსულში და განმარტავს, თუ რატომ ვერ განხორციელდა ეს იდეა მაშინ: რუსეთის კლანჭებისაგან განთავისუფლებული კავკასიის ერები მეტად გატაცებულნი იყვნენ ეროვნული ენტუზიაზმით, საკუთარი მეობის გრძნობით და გარდა ზოგ შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსისა არავინ ხედავდა შეკავშირების საჭიროებას. მაგრამ ბოლშევიკურმა ტერორმა და სისხლიანმა რეჟიმმა ბევრი რამ ასწავლა კავკასიელებს და საერთო ბრძოლამ რუს ბოლშევიკების წინაამდეგ შეაკავშირა მეზობელი ერები და გამოჭედა მთლიანი ფრონტი. რასულ-ზადე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანელი გლეხი თანამშრომლობს დღეს არა თუ თავის ერთმორწმუნე ჩრდილო-კავკასიელთან, არა თუ თავის მუდამ კეთილ მეზობელ ქართველთან, არამედ სომხის ხალხთანაც, რომელთან ჯერ კიდევ გუშინ მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. «გაძლიერება და გაღრმავება იდეოლოგიური იმ ერთობისა, რომელიც შექმნა კავკასიის ერების საერთო ბრძოლამ რუს ოკუპანტების წინაამდეგ,—არის სასიცოცხლო საჭიროება და მოვალეობა ყველა კავკასიელისა», სამართლიანად დაასკვნის ავტორი და არ შეგვიძლია, ჩვენც არ შევუერთდეთ მის აზრს.

გაზეთის ამ ნუმერში მოთავსებულია სხვათა შორის კავკასიის კონფედერაციის პაქტი, მდგომარეობა საქართველოში, აზერბეიჯანში, ჩრდილო კავკასიაში და სხ.

უკრაინელთა შორის

უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში დაატუსაღეს მრავალი მუშა, სამხედრო პირი, ოფიცერი, რომელთაც აბრალებენ სტალინის საწინაამდეგო ოპოზიციის მოწყობას. გამოცემული იყო არალეგალურად პროკლამაციები ამ სათაურით: «ძირს დიქტატორი სტალინი!» სტალინის პოლიტიკა გაკოტრდა და უნდა გადადგესო.

— სტამბოლში გამოვიდა თურქულ ენაზე წიგნი უკრაინელ ჟურნალისტის მურსკის «შინაგანი სახე ახალი რუსეთისა». წიგნს დართული აქვს ყირიმის ეროვნულ მოძრაობის მეთაურის სეიტაჰმედ ბეის წინასიტყვაობა, სადაც გარკვეულია წიგნის მნიშვნელობა, რომელიც პასუხია ამას წინად გამოსულ თურქულ ბოლშევიზანურ წიგნისა «ახალი რუსეთი»ს.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

უღრმეს მადლობას ვსწირავ ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და ჩემი მძიმე ავათმყოფობის დროს, ნახვით თუ წერილობით, ჩემთვის მეტათ გამამხნევებელი თანამგრძნობა გამომიცხადეს.

ს. ასათიანი.

II.

ნება მიბოძეთ «დამოუკ. საქ.» საშვალებით მადლობა გამოუცხადო ყველა იმ ნაცნობთ და მეგობრებს, რომელთაც აქ მე და იქ სამშობლოში ჩემი დამწუხრებული ოჯახი გვანუგეშეს უდროოთ დაკარგული ჩემი ქალის თამარის გარდაცვალების გამო.

კოლია პანაბისძე ნიკარაძე.

III.

უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი უახლოეს თქვენ ნომერში, შემდეგ მიმართვას ოდენკურის ასოციაციისა მის ყოფილ წევრებისადმი, რომლებიც წავიდნენ ოდენკურიდან ისე, რომ თავიანთი ვალი ასოციაციის რესტორანის არ გადაუხდიათ, მათ შორის სამწუხაროდ არიან ზოგიერთები, რომლებმაც რამდენიმე წელია რაც დასტოვეს ოდენკური და არავითარ ცნობებს არ იძლევიან თავიანთი ვალის გადახდის შესახებ.

ასოციაციის გამგეობა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, რომელიც მოხდა ამ წლის 15 ოქტომბერს, აფრთხილებს მათ, აცნობონ გამგეობას ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ერთი თვის ვანმავალობაში თავიანთი მისამართი, და აგრეთვე შეატყობინონ მას, როდის, და რა წესით აპირებენ თავიანთი ვალის გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი იქნება გამოქვეყნებული გაზეთში და, შემდეგ მიღებული სათანადო კანონიერი ზომები, რათა საზოგადოების ინტერესები იქნეს დაცული და ვალები იძულებითი საშუალებით გადახდილი.

ოდენკურის ასოციაციის გამგეობის დავალებით

გამგეობის მდივანი—ბიჭ ქურიძე.

IV.

ნიკოლოზ ივანეს ძე კალანდარიშვილი მცხოვრები (1921 წლამდი) ქალაქ ბათუმში, გასულა საზღვარ გარეთ 1921 წელს, მსახურებდა საზღვარ გარეთ წასვლის დროს გემ «გედზე» რომელიც ეკუთვნოდა ვინმე ივერიკო მიქელაძეს, მოიწერა უკანასკნელად სტამბოლიდგან, სადაც აღნიშნავდა, რომ მიდის გერმანიაში უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელათ, ბერლინში ან ჰამბურგში. მას შემდეგ მისმა მშობლებმა არავითარი ამბავი აღარ იციან. ვთხოვთ ყველა იმათ, ვინც რაიმე იცის ამ ნიკოლოზ კალანდარიშვილის შესახებ, გვაცნობონ შემდეგი მისამართით:

Philippe Loria
Praha Smichov Sokolska ul. c. 6.
Tchekoslovaquie.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.